


რეკომენდაციები საქართველოს სტატისტიკის სისტემაში რეგიონული ანალიზების განვითარების სფეროში

662442	18,9	63,7	17,5	281	50,3	107,3
449553	16,9	64,6	18,4	285	79,4	106,6
529314	16,8	64,1	19,0	174	58,5	108,0
482429	16,4	65,3	18,3	549	89,4	106,8
762097	16,1	64,5	19,5	2005	100,0	108,6
640032	18,2	65,1	16,6	473	76,8	104,8
710208	15,4	65,4	19,2	395	88,4	108,5
390282	18,6	66,2	15,2	415	72,2	104,9
1278116	17,9	63,5	18,7	109	45,0	104,7
781468	17,6	64,0	18,4	155	55,6	106,0
496648	18,4	62,6	19,1	74	28,4	102,8
1452596	19,6	65,3	15,2	60	59,4	104,1
537452	20,2	64,8	15,1	72	58,2	103,5
291261	20,2	64,9	14,9	46	57,9	101,9
623883	18,8	65,9	15,3	60	61,1	103,8
3455477	19,6	64,5	15,9	116	55,7	103,6
673001	19,7	63,8	16,5	116	47,3	105,1
660778	20,0	64,1	15,9	103	47,3	103,9
551327	20,8	64,4	14,9	92	45,8	103,2
414463	20,6	64,7	14,7	64	54,5	102,7
602344	21,3	65,3	13,4	122	43,4	104,4
553564	15,3	64,9	19,8	2114	100,0	114,6
1722739	18,2	65,4	16,4	75	68,8	105,3
604433	18,7	65,2	16,1	58	63,0	105,2
380260	19,3	65,5	15,3	56	55,7	102,2
409596	15,5	65,0	19,5	1363	100,0	110,2
328450	19,2	66,4	14,4	61	56,0	103,0





სტატისტიკის მთავარი სამმართველო
GŁÓWNY URZĄD STATYSTYCZNY

რეკომენდაციები საქართველოს სტატისტიკის სისტემაში რეგიონული ანალიზების განვითარების სფეროში



პოლონეთის დახმარება
www.polskapomoc.gov.pl

ვარშავა 2014 წ.

პუბლიკაცია
შემუშავებულ იქნა:

სტატისტიკის მთავარი სამმართველოს მიერ

სარედაქციო ჯგუფი:

დომინიკა როგალინსკა (Dominika Rogalińska) – რეგიონული
კვლევებისა და გარემოს დეპარტამენტი
მარეკ მროჩკოვსკი (Marek Mroczkowski) – საერთაშორისო
თანამშრომლობის დეპარტამენტი
კშიშტოფ კოვალსკი (Krzysztof Kowalski) – ვარშავის
სტატისტიკის სამმართველო
კატაჟინა ვრუბელი (Katarzyna Wróbel) – რეგიონული
კვლევებისა და გარემოს დეპარტამენტი
მარილა დებიცკა (Maryla Dębicka) – რეგიონული კვლევებისა და
გარემოს დეპარტამენტი
ბარბარა შეიგიეცი (Barbara Szejgiec) – რეგიონული კვლევებისა
და გარემოს დეპარტამენტი

თარგმანი:

მანანა გელაშვილი

პუბლიკაცია შემუშავებულ იქნა პროექტი „საქართველოს სახელმწიფო სტატისტიკის სისტემის ხელშეწყობა რეგიონული სტატისტიკის სფეროში. რეგიონული განვითარების ანალიზების და რეგიონული ანაგარიშების შედგენისთვის საჭირო ცოდნის გაზიარება“ -ის ფარგლებში

პროექტი თანადაფინანსებულია პოლონეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ პოლონეთის თანამშრომლობის განვითარების პროექტის ფარგლებში.

პუბლიკაცია ასახავს მხოლოდ ავტორების შეხედულებებს და არ შეიძლება ის გაიგივებულ იქნას პოლონეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ პოზიციასთან.

პუბლიკაცია განთავსებულია ვებგვერდზე – <http://www.stat.gov.pl>

პუბლიკაციაში გამოყენებულ იქნა პროგრამა „Creative Commons Uznanie autorstwa 3.0 Polska „-ს მასალები (CC BY 3.0 PL)



პოლონეთის დახმარება

შინაარსი

1. შესავალი.....	2
2. რეგიონული სტატისტიკის განვითარების მიმართულებები.....	2
3. რეგიონულ დონეზე გარე პარტნიორებთან თანამშრომლობა	3
3.1. პარტნიორები და თანამშრომლობის ფორმები.....	4
3.2. თანამშრომლობიდან გამომდინარე პლიუსები	5
3.3. დაფინანსების წყაროები.....	6
4. სამუშაოების ორგანიზება და ამოცანების გადაწვევა	7
5. მომხმარებელთა საჭიროებების კვლევა.....	9
6. რეგიონული ანალიზები.....	12
6.1. ანალიტიკური ჯგუფი	12
6.2. ანალიტიკური პუბლიკაციები – ძირითადი პრინციპები.....	13
6.3. სტატისტიკური მეთოდები და გადმოცემა.....	17
6.4. სტატისტიკური მაჩვენებლები რეგიონულ ანალიზებში	19
6.5. გრაფიკული ელემენტები.....	21
6.6. მონაცემების წყაროები (მეტაინფორმაციები).....	22
7. რეგიონული ანალიზების ხელშემწყობი ინფორმაციული ინსტრუმენტები....	22
8. სამუშაო „სამზარეულო“ – მუშაობის დახვეწაზე ორიენტირებული ქმედებები..	24
9. ინფორმაციის გავრცელება.....	24
10. თანამშრომლობა მედიასთან, როგორც მომხმარებელთა განსაკუთრებულ ჯგუფთან	27
11. სტატისტიკური განათლება.....	29
11.1. მომხმარებლების სტატისტიკური განათლება	29
11.2. დასაქმებული კატდის განათლება	30
12. დასკვნები.....	31
დანართი 1. სტატისტიკური ინფორმაციის მომხმარებლების კმაყოფილების და საჭიროებების კვლევის ანკეტა	33
დანართი 2. ტერიტორიული თვითმმართველობის ერთეულების სტატისტიკური ინფორმაციის საჭიროების კვლევის ანკეტა	39

1. შესავალი

თანამედროვე მსოფლიოში ინფორმაციაზე მოთხოვნის ზრდის, ასევე მისი მაღალი მიწოდების პირობებში (რაც იწვევს ინფორმაციულ ქაოსსა და უახარისხო გზავნილების გავრცელებას), საჭიროა სახელმწიფო სტატისტიკის როლის ხაზგასმა, როგორც იმ ინსტიტუციისა, რომელიც საზოგადოების საინფორმაციო საჭიროებების სანდოდ, ჯეროვნად და სრულყოფილად უზრუნველყოფს.

აქედან გამომდინარე, სახელმწიფო სტატისტიკა, არსებული გამოწვევების წინაშე, მიზნად უნდა ისახავდეს საინფორმაციო სისტემის განვითარებას, რომელიც სხვადასხვა მომხმარებელთა ჯგუფების საინფორმაციო საჭიროებებს დააკმაყოფილებს (როგორც რესპუბლიკური, ასევე რეგიონული მასშტაბით).

რეგიონული პოლიტიკის მნიშვნელობის ზრდის კონტექსტში, სახელმწიფო სტატისტიკა მიმართული უნდა იყოს ისეთი ინფორმაციის მიწოდებაზე, რომელიც განვითარების მონიტორინგს შეუწყობს ხელს (განსაკუთრებით ისეთ სფეროებში როგორცაა სახელმწიფო სერვისებზე ხელმისაწვდომობა), ასევე ინდიკატორების ერთიანი სისტემის შემუშავებაზე, რომელიც როგორც ძირითადი, ასევე ცალკეული რეგიონების სპეციფიური პროგრამების თვალდევნის და შეფასების საშუალებას იძლევა.

გარე პარტნიორებთან თანამშრომლობა განაპირობებს სტანდარტიზებული მოქმედებების გატარების აუცილებლობას, რომელიც მეტად მნიშვნელოვანია ისეთ სფეროებში როგორცაა, მათ შორის:

- სამუშაოების ორგანიზება და ამოცანების გადანაწილება,
- მომხმარებლების საჭიროებების კვლევა,
- რეგიონული ანალიზები და საპუბლიკაციო (საგამომცემლო) საქმე,
- ანალიზის ხელშემწყობი ინფორმაციული ინსტრუმენტები,
- ინფორმაციის გავრცელება,
- სტატისტიკური განათლება.

წინამდებარე პუბლიკაციაში წარმოდგენილი რეკომენდაციები ეფუძნება პოლონეთის სახელმწიფო სტატისტიკის ამ დრომდე არსებულ გამოცდილებას, როგორც რეგიონულ დონეზე გარე პარტნიორებთან თანამშრომლობისა და სტატისტიკის ერთეულების საქმიანობის ორგანიზების, ასევე ამ ამოცანების შესრულების დახვეწის სფეროში.

2. რეგიონული სტატისტიკის განვითარების მიმართულებები

რეგიონული სტატისტიკა წარმოადგენს ინტერდისციპლინარულ სფეროს, რომელიც იკვლევს იმ სოციალურ, ეკონომიკურ და გარემოსმიერ მოვლენებს, რომელთათვისაც საერთო ფაქტორს სივრცე შეადგენს. შესაბამისად, პრიორიტეტს

უნდა წარმოადგენდეს სრულყოფილი საინფორმაციო სისტემების შექმნა – მრავალი ბენეფიციარის და სტატისტიკური ინფორმაციის ადმინისტრატორებთან თანამშრომლობით, რომელიც განვითარების მონიტორინგს მოემსახურება.

პოლონეთის სახელმწიფო სტატისტიკაში, მომხმარებლების მხრიდან (მათ შორის, ტერიტორიული თვითმმართველობის ორგანოების) სტატისტიკურ ინფორმაციაზე გაზრდილი მოთხოვნის პირობებში, შემუშავებულ იქნა მომხმარებლების (განსაკუთრებით ტერიტორიული თვითმმართველობების) ინფორმაციული უზრუნველყოფის სისტემა. რეგიონებში მომხმარებლების ინფორმაციული უზრუნველყოფის აღნიშნული სისტემის საკვანძო ნაწილს წარმოადგენს სავოევოდოს რეგიონული კვლევების ცენტრები, რომლებიც სტატისტიკის სამმართველოებშია მოთავსებული (აღნიშნული ცენტრების შესახებ ფართო საუბარია მე-4 პუნქტში).

პოლონეთის რეგიონული სტატისტიკის მიმართულებები განპირობებულია რეგიონული კვლევების მიმართ ახალი მიდგომებით:

- ტერიტორიული განზომილება – კვლევების განვითარება უფრო დაბალი ტერიტორიული ჭრილების შედეგების მიმართულებით, ვიდრე ამჟამადაა ხელმისაწვდომი:
 - რეგიონული განვითარების დონის და დინამიკის იდენტიფიცირება – კვლევა იძლევა ინფორმაციას, რომელიც საშუალებას გვაძლევს მონიტორინგის ქვეშ გვქონდეს რეგიონული განვითარების დონის ცვლილება და დინამიკა, ასევე გავაანალიზოთ შიდა რეგიონული განსხვავებები,
 - ქალაქების შესახებ სტატისტიკური საინფორმაციო სისტემა – იძლევა ინფორმაციას პოლონეთის ქალაქებში მიმდინარე ცვლილებების დაკვირვებისთვის, რესპუბლიკური და საერთაშორისო საინფორმაციო საჭიროებების გათვალისწინებით,
 - სასოფლო ტერიტორიების შესახებ სტატისტიკური საინფორმაციო სისტემა – აერთიანებს სასოფლო ტერიტორიებისთვის დამახასიათებელ მონაცემებს სოციალურ და ეკონომიკურ სფეროებში, ასევე იძლევა საშუალებას გავაანალიზოთ ეკონომიკური განვითარების დონე და ცხოვრების ხარისხი სასოფლო ტერიტორიებზე,
 - საქალაქო აუდიტი – თავს უყრის მონაცემებს, რომელიც ევროპული მონიტორინგის პროექტს „Urban Audit“-ს ემსახურება,
- სივრცითი მიდგომა – ფუნქციონალური არეალები, რომლებიც ადმინისტრაციულ საზღვრებს არ ემთხვევია (ასევე იხ. პუნქტი 6.4).

3. გარე პარტნიორებთან თანამშრომლობა რეგიონულ დონეზე

მომხმარებლებს შორის გავრცელებულ შეხედულებებში სახელმწიფო სტატისტიკა ასოცირდება მხოლოდ ან ძირითადად სტატისტიკური მონაცემების შემუშავებასთან. ამიტომაც, საჭიროა სახელმწიფო სტატისტიკის როგორც

საკონსულტაციო-ექსპერტული ორგანოს როლის ხაზგასმა ისეთ პროცესებში, როგორცაა:

- სტატისტიკური კვლევების დაგეგმვა და განხორციელება ერთიანი საკლასიფიკაციო და მეთოდოლოგიური სტანდარტების მიხედვით;
- სახელმწიფო პოლიტიკების, მათ შორის ინფორმაციულ მონაცემთა ბაზების, განვითარების სტრატეგიების განხორციელების დაგეგმვა და მონიტორინგი;
- სტატისტიკური კვლევების შემუშავება;
- კონსულტაცია მომხმარებლების მიერ სტატისტიკური მონაცემების სწორად შერჩევასა და ინტერპრეტირებაში.

3.1. პარტნიორები და თანამშრომლობის ფორმები

სახელმწიფო სტატისტიკას, მიისწრაფვის რა რეალობის ასახვისკენ, კვლევების შემუშავებისა და ჩატარების პროცესში ესაჭიროება კომპეტენტური და პასუხისმგებლიანი პარტნიორები. ამიტომ, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმ ინიციატივებს, რომლებიც შეხედულებების, პოზიციების და სასარგებლო პრაქტიკის გაზიარების შესაძლებლობას ქმნიან. ეს შესაძლებელს ხდის მომხმარებლების საჭიროებების უკეთ დანახვას და შესაბამისი ქმედებების განხორციელებას სათანადო წინსწრებით (საჭიროებების წინასწარ გათვალისწინება).

სახელმწიფო სტატისტიკის რეგიონული თანამშრომლობა უნდა მოიცავდეს:

- ქვეყნის დონეზე რეგიონული განვითარებით დაკავებულ ინსტიტუციებს (დაინტერესებულ მხარეებს);

სტატისტიკის მთავარი სამმართველოსთვის ესენი არიან ინფრასტრუქტურისა და განვითარების სამინისტრო, მათ შორის მის დაქვემდებარებაში არსებული ქვეყნის ტერიტორიული ფორუმი, ასევე პოლონეთის მეცნიერების აკადემიის ქვეყნის სივრცითი მოწყობის კომიტეტი, პოლონეთის ქალაქების ასოციაცია.

- რეგიონულ პარტნიორებს.

სტატისტიკის სამმართველოებისთვის ესენია ტერიტორიული თვითმმართველობის ერთეულები, მათ შორის მარშალის ოფისები, სამთავრობო ადმინისტრაციის სამმართველოები, მათ შორის ვოევოდას ოფისები, უმაღლეს სასწავლებლებთან დაკავშირებული სამეცნიერო წრეები, ბიზნესის ხელშემწყობი ინსტიტუციები.

პარტნიორებთან თანამშრომლობა შეიძლება დარეგულირდეს თანამშრომლობის მემორანდუმებით ან შეთანხმებების მეშვეობით. რომელმე ფორმატის შერჩევის მთავარი ამოცანაა ორმხრივი თანამშრომლობის ფორმალურად ინიცირება, რეგიონული განვითარების პროგრამირების მიზნით ინფორმაციის გაზიარება. თანამშრომლობა ორიენტირებულია, მათ შორის, რეგიონის

სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონისა და პირობების დიაგნოზირების სფეროში ერთობლივი კვლევითი პროექტების წამოწყებაზე.

სტატისტიკის მთავარმა სამმართველომ და ინფრასტრუქტურისა და განვითარების სამინისტრომ ხელი მოაწერეს თანამშრომლობის მემორანდუმს. სტატისტიკის სამმართველოებმა ხელი მოაწერეს თანამშრომლობის შეთანხმებას ყველა მარშალის ოფისთან და ზოგ სამეცნიერო დაწესებულებასთან.

გარე პარტნიორებთან თანამშრომლობის წამოწყების სხვა ფორმა შეიძლება იყოს:

- ექსპერტულ ჯგუფები და სამუშაო ჯგუფებში წევრის სახით მონაწილეობის მიღება, ასევე სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობა;
- კონფერენციების, სემინარების და სხვა სამეცნიერო-დიდაქტიკური ხასიათის შეხვედრების თანაორგანიზება როგორც ქვეყნის, ასევე რეგიონის დონეზე – ღონისძიებები, რომლებიც შეიძლება გახდეს სახელმწიფო სტატისტიკის, რეგიონული მმართველობისა და სამეცნიერო-კვლევით წრეებს შორის გამოცდილების გაზიარების ფორუმი.

3.2. თანამშრომლობიდან გამომდინარე პლიუსები

პარტნიორული თანამშრომლობა სასარგებლო უნდა იყოს ყველა ჩართული დაინტერესებული მხარისთვის. ამ კონტექსტში, სახელმწიფო სტატისტიკისთვის მნიშვნელოვანია:

- ინფორმაციის ახალი, პოტენციური წყაროების ხელმისაწვდომობა, რაც ინფორმაციის შეფასების და სტატისტიკურ რესურსებთან შესაძლო ინტეგრირების საშუალებას იძლევა,
- მომხმარებლების საინფორმაციო საჭიროებების და მათი დკმაყოფილების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა,
- სახელმწიფო სტატისტიკის პროდუქტების შესახებ შენიშვნებისა და შეფასების ხელმისაწვდომობა (განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახალი პროდუქტების შეფასებისას), რაც მათზე მუშაობის გაუმჯობესებას ისახავს მიზნად,
- მუშაობის ერთობლივი შედეგი და ცოდნის გაზიარება (როგორც ანალიტიკური და კვლევითი პროექტების შედეგი),
- გარე ერთეულების მიერ შემუშავებული პუბლიკაციებისა და ანალიზების უსასყიდლო ხელმისაწვდომობა,
- ზოგადად, სტატისტიკური ინფორმაციის გამოყენებით განხორციელებული ღონისძიებების სფეროში გამოცდილების გაზიარება,
- სტატისტიკაში ახალი ამოცანების განხორციელებისთვის დამატებითი ფინანსური სახსრების მოძიება.

3.3. დაფინანსების წყაროები

სტატისტიკური კვლევების წარმოების პროცესი მოითხოვს დიდი ფინანსური სახსრების გაწევას, როგორც სახელმწიფო სტატისტიკის, სევერესპონდენტების მხრიდან. როგორც წესი, სახელმწიფო სტატისტიკის სტატისტიკური კვლევების პროგრამის ფარგლებში არ არის შესაძლებელი მომხმარებელთა ყველა საინფორმაციო საჭიროების დაკმაყოფილება, რადგან მათი ნაწილის განხორციელება (მაგ. ინციდენტალური, მარგინალური, არატიპიური, შეზღუდული ტერიტორიული ფარგლების კვლევები), სისტემური თვალსაზრისით, არანაციონალური იქნებოდა.

სტატისტიკური კვლევების პროგრამის გარეთ ამგვარი საჭიროებების დაკმაყოფილების საშუალება შეიძლება იყოს, მათ შორის, სტატისტიკური კვლევების ან ანალიზების განხორციელება მომხმარებლის დაკვეთით. ამგვარი ფორმატის მიღების პლიუსს წარმოადგენს სტატისტიკური საიდუმლოთი დაცული მონაცემების გამოყენება, საიდუმლოს შენახვის გარეშე.

სახელმწიფო სტატისტიკაში სტატისტიკური ღონისძიებების დაფინანსების წყარო შეიძლება იყოს:

- საკუთარი სახსრები;

პოლონური სტატისტიკისთვის ეს არის სტატისტიკის სექტორის ბიუჯეტი, რომელიც მოცემული წლის საბიუჯეტო კანონითაა გათვალისწინებული. სტატისტიკის მთავარი სამმართველო სამთავრობო ადმინისტრაციის ორგანოს წარმოადგენს და, 2009 წლის 27 აგვისტოს საჯარო ფინანსების შესახებ კანონის (Dz. U. Nr 157, poz. 1240 z późn. zm.) 9 მუხლის თანახმად, ის საჯარო ფინანსების სექტორში შედის. საჯარო ფინანსების სექტორის ერთეულების შემოსავლები და ხარჯები ასახულია ქვეყნის ბიუჯეტში, რომელსაც ყოველ წელს ამტკიცებს სეიმი (პარლამენტი) საბიუჯეტო კანონის სახით, მომდევნო კალენდარული წლის ვადით.

სახელმწიფო სტატისტიკის სტატისტიკური კვლევები ფინანსდება ქვეყნის ბიუჯეტიდან, იმ ოდენობით, რა რაოდენობაცაა განსაზღვრული სახელმწიფო სტატისტიკის სტატისტიკური კვლევების პროგრამაში. იმ შემთხვევაში, როდესაც აღნიშნული პროგრამა განსაზღვრავს, რომ კვლევას ჩაატარებს საჯარო ადმინისტრაციის სხვა ორგანო, ამ შემთხვევაში მოცემული კვლევის განხორციელებისთვის განკუთვნილი სახსრები საბიუჯეტო კანონის იმ ნაწილში იქნება, რომელიც მოცემულ საჯარო ორგანოს ეხება. განსაკუთრებულ შემთხვევებში, სტატისტიკური კვლევების პროგრამაში დასახელებული კვლევა შეიძლება დაფინანსდეს არასაბიუჯეტო სახსრებიდან, რომელსაც კვლევის ჩამტარებელი სუბიექტი უზრუნველყოფს.

- გარე სახსრები:

- ქვეყნის შიდა პარტნიორების სახსრები, რომლებიც ღონისძიებების თანადაფინანსებისთვისაა განკუთვნილი;

პოლონურ სახელმწიფო სტატისტიკის შემთხვევაში, ეს არის სახსრები რომელიც მოიპოვება კვლევით-ანალიტიკური და შეხვედრების თანაორგანიზების სფეროში თანამშრომლობის შედეგად, ასევე სახელმწიფო სტატისტიკის შესახებ კანონის 21 მუხლის შესაბამისად მოპოვებული სახსრები (რაც ნიშნავს იმას, რომ გარდა სტატისტიკური კვლევების პროგრამაში შესული კვლევებისა, სტატისტიკის სამსახურებს შეუძლიათ აწარმოონ სტატისტიკური კვლევები ინდივიდუალური დაკვეთით, იმ პირობით, რომ ამგვარ კვლევებში რესპონდენტების მონაწილეობა ნებაყოფლობითია). აღნიშნულ ფორმატში ჩატარებული კვლევების შედეგები შეიძლება იქცეს სახელმწიფო სტატისტიკის ოფიციალურ მონაცემებად, რომელთა გამოყენება, გაზიარება და გავრცელება შესაძლებელია სახელმწიფო სტატისტიკის სამსახურების მიერ, თუ აღნიშნული არ ლახავს დამკვეთის დასაბუთებულ ინტერესს ან თუ ხელშეკრულებაში არ იქნა მითითებული კვლევების შედეგების მხოლოდ დამკვეთის მიზნებისთვის გამოყენება.

- უცხოური სახსრები.


პოლონეთის სახელმწიფო სტატისტიკის შემთხვევაში, ეს ძირითადად ევროკავშირის ფონდებიდან მიღებულ სახსრებია.

4. სამუშაოების ორგანიზება და ამოცანების გადასაწილება

სახელმწიფო სტატისტიკის სამსახურების ორგანიზაციული მოდელის გაზიარებისას უნდა ვიგულისხმოთ, რომ მომხმარებლების ეფექტური ინფორმაციული მომსახურების საფუძველს უნდა წარმოადგენდეს სტატისტიკის მრავალი ერთეულისა და დანაყოფის ინტეგრირებული და ურთიერთშემავსებელი ქმედებები.

მომხმარებელთა საჭიროებებისა და გარე პარტნიორებთან რეგიონულ დონეზე თანამშრომლობის კონტექსტში, სასარგებლო პრაქტიკას წარმოადგენს შემდეგი ინსტიტუტების შემოღება:

- ცენტრალურ დონეზე – რეგინული სტატისტიკური ინფორმაციის სისტემის განვითარებაზე ორიენტირებული ღონისძიებების კოორდინატორი, ასევე ზოგადად შედეგობრივი ინფორმაციის გავრცელების კოორდინატორი;
- რეგიონულ დონეზე – რეგიონში სტატისტიკის პოპულარიზებაზე პასუხისმგებელი ერთეული, რომელიც რეგიონის განვითარების შემსწავლელ სამეცნიერო-ანალიტიკური პროექტების ფარგლებში თანამშრომლობს გარე პარტნიორებთან, ეწევა საპუბლიკაციო საქმიანობას და ავრცელებს სტატისტიკურ შედეგობრივ ინფორმაციას.



პოლონეთის სახელმწიფო სტატისტიკაში სტატისტიკური კვლევების სფეროში მთლიან სამუშაოებს, რომლებიც კონკრეტული ინფორმაციის მიღებით უნდა დასრულდეს, მათ შორის ტერიტორიულ ჭრილში, კოორდინაციას უწევს კვლევების პროგრამირებისა და კოორდინირების დეპარტამენტი, რომელიც ეწევა, მათ შორის, ღონისძიებებს ადმინისტრაციული წყაროების გამოყენებისა, ასევე სახელმწიფო სტატისტიკის მომხმარებელთა ინფორმაციული საჭიროებების კვლევის სფეროში.

რეგიონული კვლევების სფეროში ამოცანების კოორდინირება რეგიონული კვლევებისა და გარემოს დეპარტამენტის კომპეტენციაში შედის და მოიცავს, მათ შორის:

- რეგიონული სტატისტიკური ინფორმაციის სისტემის განვითარებაზე ორიენტირებული ღონისძიებები, მონაცემების ყველა მომხმარებლის ინფორმაციული ხელშეწყობის კუთხით;
- რეგიონულ და ადგილობრივ ჭრილებში სტატისტიკურ პუბლიკაციებზე და ნაშრომებზე საჭიროების დაკმაყოფილების მეთოდებისა და ფორმების დაპროექტება;
- რეგიონულ ჭრილში მომზადებული ნაშრომების და ანალიზების თანმიმდევრულობის შენარჩუნება და მეთოდოლოგიური ხელშეწყობა;
- სავოევოდოების რეგიონული კვლევების ცენტრების მუშაობის კოორდინაცია და მონიტორინგი ამოცანების სტანდარტიზაციის და თანმიმდევრულობის დაცვის მიზნით, მათ შორის საერთო მაღალი მეთოდოლოგიური სტანდარტების მითითება, ასევე სასარგებლო პრაქტიკის გაზიარება და პოპულარიზება.

სტატისტიკური ინფორმაციის გავრცელების, გაზიარების და პოპულარიზების სფეროში ცენტრალურად კოორდინირებულ საქმიანობას ახორციელებს ინფორმაციის დეპარტამენტი და მოიცავს, მათ შორის ინფორმაციის გაზიარების

თანამედროვე მეთოდების გამოყენებაზე ორიენტირებულ ქმედებებს, ასევე ყველა სტატისტიკის სამსახურის მიერ ინფორმაციის გაზიარებას და პრესასთან ურთიერთობას.

რეგიონში მომხმარებლების (მათ შორის ტერიტორიული თვითმმართველობის ორგანოების) ინფორმაციული უზრუნველყოფის სისტემის ძირითად ელემენტს წარმოადგენს 2010 წელს ყველა სტატისტიკის სამმართველოში შემოღებული რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მონიტორინგის, კვლევისა და ანალიზის ორგანიზაციული ქვედანაყოფები ანუ სავოევოდოს რეგიონული კვლევების ცენტრები. მიღებული ორგანიზაციული მოდელის მიხედვით, აღნიშნული ცენტრები მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს სახელმწიფო სტატისტიკის მომხმარებლებთან, მათ შორის თვითმმართველობის ადმინისტრაციასთან და ადგილობრივი დონის სამთავრობო უწყებებთან, განსაკუთრებით რეგიონული განვითარების პოლიტიკის მონიტორინგისა და შეფასების სფეროში თანამშრომლობის მექანიზმების გაუმჯობესებაში და გაძლიერებაში. როგორც სოციალურ-ეკონომიკური ცოდნის ცენტრი სავოევოდოში, ისინი გარე პარტნიორებთან ერთად თანამშრომლობით, შემდეგ საქმიანობას ეწევიან:

- ტერიტორიულ ჭრილში წარმოდგენილი სტატისტიკური ინფორმაციის საჭიროების იდენტიფიცირება და ანალიზი, ასევე მათი დაკმაყოფილების მეთოდებისა და ფორმების შემუშავება (მათ შორის, მომხმარებელთა ცალკეული ჯგუფების მუდმივი მონიტორინგით, საჭიროებების წინასწარი კვლევებით, სტატისტიკური პროდუქტებით დაინტერესების გაზრდის მეთოდების ძიება);
- რეგიონში განვითარების პროცესების მონიტორინგი და შეფასება, ასევე ამჟამად გამოყენებული რეგიონული ანალიზების და კვლევების მეთოდების დახვეწა;
- დროში და სივრცეში შედარებადი სტატისტიკური შედეგების, ასევე ერთიანი საინფორმაციო სტანდარტების მუდმივი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა (მათ შორის რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური სიტუაციის შესახებ ობიექტურად, ჯეროვნად და მუდმივად ინფორმირება) და სტატისტიკური განათლების პოპულარიზაცია;

5. მომხმარებელთა საჭიროებების კვლევა

შედეგობრივი ინფორმაციის გაზიარების პროცესის გაუმჯობესების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია სტატისტიკური სამსახურების მიერ მომხმარებელთა კმაყოფილებისა და საჭიროებების კვლევა, რომლის შედეგები განაპირობებს სტატისტიკური კვლევებისა და ანალიზების განვითარების მიმართულეობას.

კვლევის ფარგლებში სასურველია შეგროვდეს და ანალიზის საგანი გახდეს ყველა ასპექტი, რომელიც უკავშირდება მომხმარებელთა ცალკეული ჯგუფების კატეგორიზაციას და მათ ინფორმაციულ საჭიროებებს.

ამგვარი ქმედებების განხორციელების მიზანს სახელმწიფო სტატისტიკის კვლევითი სისტემის, ასევე შედეგობრივი ინფორმაციის შემუშავების პრეზენტაციის ფორმებისა და ფარგლების მომხმარებლების საჭიროებებთან შესაბამეობა წარმოადგენს (მათ შორის, ამგვარი საჭიროებების წინასწარ შეცნობის მეშვეობით).

მომხმარებლების საჭიროებების დიაგნოზირების პროცესი უნდა ითვალისწინებდეს შემდეგ ასპექტებს:

- a) სტატისტიკური ინფორმაციის საჭიროებების წყაროების განსაზღვრა:
 - საერთაშორისო და შიდა ვალდებულებების ანალიზი,
 - საჭიროებების კლასიფიცირება მომხმარებლების ჯგუფების მიხედვით;

პოლონურ სახელმწიფო სტატისტიკაში ესენია საჯარო ადმინისტრაციის ორგანოები – ცენტრალური და მუნიციპალური ორგანოები, სამეცნიერო წრეები, მასმედია, მეწარმეები, სტუდენტები და მოსწავლეები, დანარჩენი ინსტიტუციონალური და ინდივიდუალური მომხმარებლები.

- b) საჭიროებების შესახებ ინფორმაციის წყაროების განსაზღვრა:
 - სამართლებრივი აქტები (საერთაშორისო და შიდა),
 - სახელმწიფო სტატისტიკის საინფორმაციო რესურსის გამოყენების მონიტორინგი – მომხმარებლებისთვის ხელმისაწვდომი სტატისტიკის საინფორმაციო პორტალის, ასევე მონაცემთა ბაზებისა და ბანკების გამოყენების ანალიზი,
 - შემოსული განცხადებები ინფორმაციის გაზიარების თაობაზე;

პოლონეთის სახელმწიფო სტატისტიკის შემთხვევაში ეს არის ძირითადად ინფორმაციის დეპარტამენტში და სტატისტიკურ ინფორმატორიებში შესული შეკითხვები.

- კვლევების პროგრამის განხილვები იმ კვლევების ნაწილში რომელიც რეგულარულად უნდა ჩატარდეს;

პოლონეთის სახელმწიფო სტატისტიკაში კვლევების პროგრამასთან დაკავშირებული გარე განხილვები ყოველ წელს მიმდინარეობს, რაც გამომდინარეობს იქიდან, რომ კვლევების პროგრამას დადგენილების სახით ერთი წლის ვადით ამტკიცებს მინისტრთა კაბინეტი. პროექტის ყოველ მომდევნო წლისთვის კვლევების პროგრამას შეიმუშავებს სტატისტიკის საბჭო, სტატისტიკის მთავარი სამმართველოს თავმჯდომარის წარდგენით. სტატისტიკის საბჭო კვლევების პროგრამის პროექტს წარუდგენს მინისტრთა კაბინეტს ყოველი წლის არაუგვიანეს 30 ივნისისა.

- საკონსულტაციო-სათათბირო ორგანოების მითითებები;

პოლონურ სახელმწიფო სტატისტიკაში ესენია, სხვა ორგანოთა შორის, სტატისტიკის საბჭო და მეთოდოლოგიური კომისია.

- თანამშრომლობის მემორანდუმები, შეანხმებები,
 - კონფრენციები, გარე სამუშაო ჯგუფები;
- c) მომხმარებლების საჭიროებების შესახებ ინფორმაციის წყაროების განმკარგავი სუბიექტების განსაზღვრა, რომლებიც, როგორც წესი, ის ორგანიზაციული დანაყოფებია, რომლებთანაც უშუალოდ აქვთ შეხება მომხმარებლების მომსახურებასთან;

სტატისტიკის მთავარ სამმართველოში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ინფორმაციის დეპარტამენტი, რომელიც შიდა და საერთაშორისო მომხმარებლების მომსახურებას უწევს კოორდინაციას, თუმცა ასევე მნიშვნელოვანია სექტორული დეპარტამენტები, რომლებიც ინფორმაციაზე შეკვეთის განხორციელებაზე არსობრივი კუთხით უწყობენ ხელს. სტატისტიკის სამმართველოებში ამ კუთხით წამყვან როლს ასრულებენ სავოევოდოების რეგიონული კვლევების ცენტრები, რომლებიც სტატისტიკის საინფორმაციო ცენტრების კლიენტებს ემსახურებიან, მონაწილეობას იღებენ გარე შეხვედრებში, ასევე ახორციელებენ რიგ ღონისძიებებს, რომლებიც რეგიონული განვითარების მონიტორინგზე და დიაგნოზირებაზე არიან ორიენტირებული.

- d) ახალი საინფორმაციო საჭიროებების სახელმწიფო სტატისტიკის სისტემაში გათვალისწინების შესაძლებლობებისა და მიზანშეწონილობის ანალიზი, რომელიც უნდა მოიცავდეს:
- ახალი ინფორმაციის ფინანსური რაციონალურობის და პრაქტიკულად გამოყენების შეფასებას:
 - დაკვირვების წარმოების მიზანშეწონილობა (ვისთვის? რისთვის? რა სიხშირით?),
 - რესპონდენტების დატვირთვის შეფასება,
 - კვლევითი თემის შერჩევის პრინციპი, რომელიც გულისხმობს:
 - სტატისტიკური კვლევების განვითარების სახელმწიფო სტატისტიკის გრძელვადიან ინტერესებთან კავშირს (ციკლურობა, ფართო გამოყენება, ასევე დროსა და სივრცეში შედარებითობა),
 - მომხმარებლების იმ საჭიროებების გათვალისწინება, რომელიც რეგიონული განვითარების მონიტორინგის და შეფასების სფეროში განხორციელებულ ღონისძიებებს უკავშირდება
 - სამუშაოების დუბლირების თავიდან აცილების პრინციპის გათვალისწინება (ამ კონტექსტში, საჭიროა კვლევითი ბაზრის სიღრმისეულად შესწავლა და გარე პარტნიორებთან თანამშრომლობა, შესაბამისად, არსებული წყაროების ეფექტურად გამოყენება, შეძლებისდაგვარად).

პოლონურ სახელმწიფო სტატისტიკაში მომხმარებლების ინფორმაციული საჭიროებების დიაგნოზირების მეთოდი ამჟამად შემუშავების პროცესშია.

გარდა ამისა, 2013 წელს განხორციელდა მომხმარებლების კმაყოფილების და საჭიროებების ცენტრალურად კოორდინირებული, სტანდარტიზებული გამოკვლევა- იხ. დანართი 1 (სტატისტიკური ინფორმაციის მომხმარებლების კმაყოფილების კვლევა საჭიროებების კვლევის ელემენტებით – ანკეტა).

სტატისტიკური სამმართველოს ტერიტორიული წამომადგენლობის შემთხვევაში, კლიენტის მომსახურების სტანდარტების ამაღლების მიზნით, სასურველია მომხმარებლების კმაყოფილებისა ან საჭიროებების კვლევების ჩატარება, რის საფუძველზეც მოცემულ ერთეულს შეეძლება შიდა ღონისძიებების გატარება საქმიანობის დახვეწის მიზნით.

პოლონეთის სახელმწიფო სტატისტიკაში ამგვარი კვლევის მაგალითია ვარშავის სტატისტიკის სამმართველოს მიერ რეგულარულად ჩატარებული კვლევა, რომელიც ტერიტორიული თვითმმართველობის ერთეულებზეა ორიენტირებული – იხ. დანართი 2 (ტერიტორიული თვითმმართველობის ერთეულების სტატისტიკური ინფორმაციის საჭიროების კვლევა – ანკეტა).

სტატისტიკური ინფორმაციის მომხმარებლების კმაყოფილების და საჭიროებების კვლევის ანკეტების შემუშავებისას უნდა გვახსოვდეს, რომ გარე პირობები და სახელმწიფო პოლიტიკების მიმართულებები იცვლება დროთა განმავლობაში, შესაბამისად იცვლება მომხმარებლების საჭიროებები, რაც გავლენას ახდენს კვლევაში სათანადო ცვლილებების შეტანის აუცილებლობაზე („განვითარებადი ანკეტა“).

6. რეგიონული ანალიზები

6.1. ანალიტიკური ჯგუფები

ანალიტიკური ნაშრომების შემუშავებით დაკავებული უნდა იყოს თანამშრომელთა ჯგუფი, რომლის წევრებსაც აქვთ გამოცდილება და ცოდნა შემდეგ სფეროებში:

- წარმოებული სტატისტიკური კვლევების სპეციფიკა და მეთოდოლოგიური ასპექტები,
- ქვეყნის და რეგიონების მასშტაბით სოციალურ-ეკონომიკური ცვალებადი პირობები.

თანამშრომელთა ჯგუფის გამოვლენა მიზნად ისახავს სტატისტიკური მომსახურების ანალიტიკური პოტენციალის გაძლიერებას და საინფორმაციო შეთავაზების სიღრმისეული ანალიტიკური ნაშრომებით გამდიდრებას.

ასევე, ანალიტიკური ჯგუფის განკარგულებაში უნდა იყვნენ სიღრმისეული ცოდნის მქონე ექსპერტები ცალკეული კვლევების საავტორო ორგანიზაციული ერთეულებიდან.

პოლონეთის სახელმწიფო სტატისტიკაში, 2014 წელს დაიწყო სტატისტიკის მთავარი სამმართველოსა და რეგიონული სამმართველოების სპეციალისტებისგან შემდგარი ანალიტიკური რესურსის ჩამოყალიბება, რომლის ბაზაზეც შეიქმნება სექტორული ანალიტიკური ჯგუფები, რომელთა ამოცანა იქნება:

- სტატისტიკის მთავარი სამმართველოს დეპარტამენტების და სავოევოდოების რეგიონული კვლევების ცენტრების ხელშეწყობა ანალიტიკურ სამუშაოებში;
- ახალი ანალიტიკური სამუშაოების წამოწყება, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა სტატისტიკური კვლევების შედეგებს და ინფორმაციას არასტატისტიკური წყაროებიდან;
- ანალიტიკური ნაშრომების მომზადება;
- სტატისტიკური კვლევების დეტალური მეთოდოლოგიური აღწერების შემუშავება;
- ანალიტიკური ხასიათის სამუშაოებთან დაკავშირებით ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება;
- სექტორულ მონაცემთა ბაზების ინფორმაციული ფარგლების განვითარების ხელშეწყობა.

სახელმწიფო სტატისტიკაში ანალიტიკურ-კვლევითი ამოცანების შესრულებას ხელს გარე ექსპერტები უნდა უწყობდნენ. გარე ექსპერტების შერჩევის კრიტერიუმებია:

- სახელმწიფო სტატისტიკის საქმიანობის ხასიათის შესახებ სათანადო ცოდნა, ანუ იმ მოქმედი პრინციპების ცოდნა, რომელიც განაპირობებს მაღალი ხარისხის შედეგობრივი ინფორმაციის შემუშავებას და გაზიარებას. ეს პრინციპებია:
 - მიუკერძოება და ობიექტურობა, ანუ სტატისტიკის შემუშავება და გავრცელება ობიექტურად, პროფესიულად და გამჭვირვალედ, ყველა მომხმარებლის თანაბარი ხელმისაწვდომობით,
 - სარგებლიანობა, ანუ მომხმარებლების საჭიროებების მაქსიმალურად დაკმაყოფილება,
 - ვადების დაცვა და პუნქტუალობა, ანუ შედეგობრივი ინფორმაციის სათანადო ვადაში და პუნქტუალურად გამოქვეყნება,
 - ხელმისაწვდომობა და გამჭვირვალობა, ანუ სტატისტიკური ინფორმაციის გასაგები ფორმით წარმოდგენა, მოხერხებული ფორმით გავრცელება და, მიუკერძოებლობის პრინციპის თანახმად, სათანადო მეტამონაცემებით და საინტერპრეტაციო მითითებებით.
- სამეცნიერო დამოუკიდებლობა და ამ დრომდე დაგროვილი სამეცნიერო მიღწევები ანალიტიკურ-კვლევითი ნამუშევრების სფეროში.

6.2. ანალიტიკური პუბლიკაციები – მთავარი პრინციპები

სტატისტიკური პროდუქტის ერთ-ერთ სახეობას წარმოადგენს სტატისტიკური პუბლიკაცია. გასაგები, გამჭვირვალე სტატისტიკური ინფორმაციის შემუშავება, განსაკუთრებით ისეთის, რომელიც სინთეზურად

მოიცავს ანალიტიკურ შინაარსს, ზრდის საზოგადოებრივ ინტერესს სახელმწიფო სტატისტიკის მუშაობის შედეგების მიმართ, შესაბამისდ გავლენას ახდენს სტატისტიკისადმი ნდობაზე და სტატისტიკურ კვლევებში მონაწილეობის სურვილზე.

იმისათვის, რომ პუბლიკაციები გამართული და მიმზიდველი იყოს, საჭიროა სტატისტიკის ყველა სამმართველოსთვის შედეგობრივი ინფორმაციის შემუშავების საერთო ინსტრუქციისა და წესების შემუშავება (ტაბულარული ან თხრობითი ფორმის).

პოლონურ სახელმწიფო სტატისტიკაში ფუნქციონირებს სტატისტიკური ცხრილების და ანალიტიკური ტექსტების შემუშავების წესები (დროდადრო მოდიფიცირებას განიცდის), რომელსაც იყენებს პუბლიკაციური საქმიანობით დაკავებული ყველა ორგანიზაციული ერთეული.

პოლონეთის სახელმწიფო სტატისტიკის საგამომცემლო საქმიანობის კუთხით გადამწყვეტი მნიშვნელობა რედაქციულ კომიტეტს აქვს, როგორც სტატისტიკის მთავარი სამმართველოს თავმჯდომარის მუდმივმოქმედ საკონსულტაციო-სათათბირო ორგანოს წარმომადგენელი და რომელიც:

- *შეიმუშავებს დასკვნებს სტატისტიკური ინფორმაციის გაზიარებისა და გავრცელების სისტემის განვითარებასთან დაკავშირებით, ინფორმაციული ტექნოლოგიების გათვალისწინებით,*
- *შეიმუშავებს დასკვნას სახელმწიფო სტატისტიკის სტატისტიკური კვლევების პროგრამის პროექტთან დაკავშირებით, იმ ნაწილში, რომელიც პუბლიკაციურ საქმიანობას ეხება,*
- *შეიმუშავებს ყოველწლიურ ანალიზს სტატისტიკის სექტორის პუბლიკაციურ საქმიანობასთან დაკავშირებით, აყალიბებს დასკვნებს და რეკომენდაციებს*
- *წარმოადგენს სტატისტიკის მთავარი სამმართველოს და რეგიონული სამმართველოების მნიშვნელოვანი პუბლიკაციების მიზნებს და დეტალურ კონცეფციის შეფასებას, საგამომცემლო გეგმის და არაგეგმიური პუბლიკაციების გათვალისწინებით,*
- *განიხილავს სტატისტიკური ინფორმაციის გაზიარებისა და გავრცელების სისტემის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს, რომელსაც წარმოადგენენ სახელმწიფო სტატისტიკის სამმართველოები.*

კომიტეტი სამუშაოებს ახორციელებს შემდეგი ფორმებით:

- *საავტორო ერთეულის მიერ წარმოდგენილი მასალების განხილვა,*
- *სარედაქციო კომიტეტის წევრების შეფასებების განხილვა და რეგენზენტების დანიშვნა,*
- *კომიტეტის სხდომაზე წარმოდგენილი დასკვნების, შეხედულებების განხილვა და დისკუსია,*
- *ცირკულარის მეშვეობით შეხედულებების და მოსაზრებების შეჯერება.*

სარედაქციო კომიტეტს საჭიროების შემთხვევაში შეუძლია შექმნას სამუშაო ჯგუფები შედარებით რთულ წამოწყებებთან დაკავშირებული პროექტების შემუშავებისთვის ან შეფასებისთვის.

სტატისტიკური პუბლიკაციების თემატური ფარგლების და ფორმების განვითარებაზე ორიენტირებული ქმედებები მომხმარებლების შენიშვნებსა და მოსაზრებებს უნდა პასუხობდეს. ამავე დროს, მიმართული უნდა იყოს პუბლიკაციების მიმართ მიდგომის ცვლილებაზე თანახმად პრინციპისა, რომ „პუბლიკაცია არ არის საქმიანობის მიზანი – მიზანს წარმოადგენს საჭიროებების მაქსიმალურად დაკმაყოფილება, ხოლო პუბლიკაცია ამ მიზნის მიღწევის საშუალებას (ინსტრუმენტს) წარმოადგენს“. შესაბამისად, პუბლიკაციური ქმედებები მიმართული უნდა იყოს შემდეგ ღონისძიებებზე:

- ინდივიდუალიზებული პროდუქტების დაპროექტება, მომხმარებლების საჭიროებებზე მორგება,
- ინფორმაციის პრეზენტაციის ახალი ფორმებისა და საშუალებების ძიება,
- პროდუქტის დაპროექტების პროცესში მომხმარებლების ჩართვა (ეს განსაკუთრებით ტერიტორიულ თვითმმართველობას ეხება),
- ფუნქციონალურ არეალებთან დაკავშირებული თემების წამოჭრა,
- ტერიტორიული ერთეულების სპეციფიკის შედარებით ფართოდ გათვალისწინება,
- იმ პროდუქტების დახვეწა, რომლებიც ყველაზე მეტად მოიცავენ ტრადიციულად მომხმარებლების დაინტერესების სფეროს, მათ შორის რეგიონული თემატიკის სინთეზური გადმოცემა – მაგ. მრავალი სფეროს ინტერდისციპლინარულად წარმოდგენა,
- დაბეჭდილ პუბლიკაციებთან მიმართებში – კონცენტრირება ძირითადად ანალიტიკურ ნაშრომებზე და მოკლე გამოცემებზე (ფოლდერები, ინფოგრაფიკები, ჯიზის ბროშურები და აშ.).

მომხმარებლებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმ პუბლიკაციებს, რომლებიც რეგიონებს შორის შედარებების საშუალებას იძლევიან. აქედან გამომდინარე, რეკომენდებულია სტანდარტიზებული კრებითი პუბლიკაციების მომზადება, რომლებიც რეგულარულად გამოიცემა და რომლებიც მუდმივ საჭიროებებს აკმაყოფილებენ. აღნიშნული პუბლიკაციების ციკლი უნდა მოიცავდეს ყველა რეგიონის კომპლექსურ ანალიზს, რომელიც ითვალისწინებს ცალკეული რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისთვის მნიშვნელოვან მოვლენებს.

სისტემაში ჩართული სტატისტიკური ნაშრომები უნდა იყოს მომხმარებლისთვის ადვილად იდენტიფიცირებადი და ერთიან სერიას უნდა წარმოადგენდეს, რომელიც სავოევოდოებს შორის შედარებების გაკეთების საშუალებას მოგვცემს.

პოლონეთის სახელმწიფო სტატისტიკაში ფუნქციონირებს რეგიონული ანალიტიკური ნაშრომების სტანდარტიზებული სისტემა, რომელიც მოიცავს სტატისტიკის სამმართველოების შემდეგ გამოცემებს:

- სავოევოდოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ყოველთვიური კომუნიკატი (მოკლე სტატისტიკური ინფორმაცია, რომელიც მოიცავს აღწერას, ცხრილებს და გრაფიკებს),
- სავოევოდოს კვარტალური ბიულეტენი (ტაბულარული პუბლიკაცია მეთოდოლოგიური შენიშვნებით),

- *სავოევოდოს სოციალურ-ეკონომიკური სიტუაციის შესახებ ყოველწლიური ანგარიში – მოკლევადიან (თვიურ, კვარტალურ) სტატისტიკაზე დაფუძნებული ანალიტიკური პუბლიკაცია, გამოიცემა საანგარიშგებო წლის მომდევნო წლის მაისში,*
- *წელიწადეული – ორტომიანი ტაბულარული ფორმის პუბლიკაცია, რომელშიც მოცემულია მეთოდოლოგიური შენიშვნები და საბოლოო შედეგობრივი ინფორმაცია ტერიტორიული დაყოფის ყველა დონისთვის,*
- *თვითმმართველობის სტატისტიკური სახელმძღვანელო – ინფოგრაფიკების სახით წარმოდგენილი ძირითადი ინფორმაციის კრებული.*

სასურველია პუბლიკაციის კონსტრუქციის ძირითადი პირობების, ასევე ინფორმაციის პრეზენტაციის წესის შემუშავება:

- კრებით პუბლიკაციებში, გამომდინარე იქიდან, რომ შეხება გვაქვს სხვადასხვა წყაროებიდან მიღებულ მონაცემებთან, ინფორმაციის სწორად ინტერპრეტირებისთვის დაჭიროა გავითვალისწინოთ:
 - მეთოდოლოგიური შენიშვნები (როგორც ცალკე გამოყოფილი თავი, სასარგებლო პრაქტიკა – ინფორმაცია ტექსტებში),
 - ძირითადი მაჩვენებლების მიმომხილველი ცხრილები (რეტროსპექტივაში),
 - შედარებით ფართო ინფორმაციის წყაროს მითითება მოცემულ თემასთან დაკავშირებით (მაგ. მითითება პუბლიკაციებზე, მონაცემთა ბაზებზე),
- ცალკეული თემატური სფეროების მონაცემები ისე უნდა იყოს წარმოდგენილი, რომ შესაძლებელი გახდეს შედეგების შედარება, ანუ ერთნაირი რეტროსპექციის ფორმატით (მრავალწლიანი დროის მწკრივები და მოვლენების დინამიკა), კლასიფიკაციური სტანდარტებით (სტრუქტურის პრეზენტაცია),
- რეგიონული ნაშრომი ყოველთვის უნდა მოიცავდეს მოვლენების ინტენსიურობის პრეზენტაციას ტერიტორიული ერთეულების ჭრილში. შედარებას ქვეყნის მაჩვენებლებთან, ასევე, თუ საჭიროა – რეგიონების რეიტინგს.

პუბლიკაციებზე მუშაობისას, რეკომენდირებულია ნაშრომების კონტროლის მრავალეტაპოვანი პროცესის დანერგვა (არსობრივი და ტექნიკურ-რედაქციული კონტროლი). სასარგებლო პრაქტიკას წარმოადგენს ტექსტის მესამე პირისთვის გადაცემა (ანუ იმ პირისთვის, რომელსაც მონაწილეობა არ მიუღია მის შემუშავებაში), რათა ობიექტურად შეაფასოს მისი შინაარსი და ყურადღება გაამახვილოს შესაძლო შეცდომებზე.

პუბლიკაციურ საქმიანობაში მნიშვნელოვანია ახალი პროდუქტების შეფასების პროცესი – მათი გაუმჯობესების მიზნით.

პოლონურ სახელმწიფო სტატისტიკაში პუბლიკაციის შესახებ უკუ ინფორმაციის მნიშვნელოვან წყაროს, ვებ-გვერდზე შესვლის და შეფასების ანკეტის მონიტორინგის გარდა, წარმოადგენს გარე შეხვედრების და კონსულტაციების დროს შეხვედულებების და შეფასებების გაზიარება.

იმ შემთხვევაში, თუ შემუშავებული ნაშრომი ინტერნეტში უნდა გამოქვეყნდეს, სასურველია ტექსტი იყოს მოკლე და კონკრეტული, რადგან ის, როგორც წესი, დაკავებულ მკითხველს დააინტერესებს, რომელიც მხოლოდ ტექსტს „ასკანირებს“ (ანუ სწრაფად გადახედავს). ასევე, საჭიროა რედაგირების ფუნქციის მქონე, საზოგადოდ ხელმისაწვდომი ფორმატის გამოყენება ტაბულარული კრებულებისთვის, ხოლო ინტერნეტ გამოცემის ფორმატი მისი ადვილად დაბეჭდვის საშუალებას უნდა უქმნიდეს მკითხველს.

ყველა ინტერნეტ გამოცემასთან აღნიშნული უნდა იყოს მისი გამოქვეყნების თარიღი, რომელიც მის აქტუალობაზე მეტყველებს.

6.3. სტატისტიკური მეთოდები და გადმოცემა

გამოყენებული სტატისტიკური მეთოდები გასაგები უნდა იყოს ჩვეულებრივი მომხმარებლისთვის.

რეგიონულ ანალიზებში, რომელიც რეგიონული განვითარების მონიტორინგს მოიცავს, მონაცემების როგორც დროში, ასევე სივრცეში შედარების შესაძლებლობა მნიშვნელოვან როლს უნდა ასრულებდეს.

მოვლენების დინამიკის კვლევაში მნიშვნელოვანია დროის მწკრივების ანალიზი, რომლისთვისაც, როგორც კვლევით ინსტრუმენტს, ვიყენებთ პოპულარულ ინდექსურ მეთოდებს. მაჩვენებლების და ინდექსების გამოყენება არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ მოვლენის დინამიკის გაზომვით. ანალოგიური მეთოდოლოგია შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვადასხვა ჭრილებში წარმოდგენილი მონაცემების ანალიზისთვის, მაგ. რომელიმე მახასიათებლის სიდიდის შედარებას სხვადასხვა ქვეყნებში, რეგიონებში ან პოპულაციის ჯგუფებში. ამ სიტუაციაში შეიძლება გამოვიყენოთ ძირითადად ერთი ბაზის მაჩვენებლები.

რეგიონების განვითარების დონის განსაზღვრისა და შედარებების წარმოების (რეიტინგები და კლასიფიკაციები) საჭიროების კუთხით, მნიშვნელოვანია სინთეზური მაჩვენებლები (ანუ მრავალი პარამეტრის და წონადობის გათვალისწინებით შემდგარი მაჩვენებლები), რომლებიც მოიცავენ მრავალ სოციალურ და ეკონომიკურ მოვლენას.

საფრთხეს წარმოადგენს ცვლადების კრებულებისა და მეთოდების შერჩევაში გარკვეული სუბიექტივიზმი (რამდენი ექსპერტი, იმდენი მოსაზრება). სწორი მიმართულებაა ექსპერტთა ფართო წრესთან თანამშრომლობა (სამეცნიერო წრეების მონაწილეობით) შემდეგ საკითხებში:

- გამოთვლებისთვის გამოყენებული ცვლადების ერთობლიობის შერჩევა,
- ცვლადების საფუძველზე ინდიკატორების გაანგარიშება – ატრიბუტების და მათი ხასიათის განსაზღვრა,
- ატრიბუტების გადაყვანა სტიმულანტების დონეზე (ატრიბუტის მაღალ სიდიდეს შეესაბამება მოცემული მოვლენის მაღალი დონე),

- სტატისტიკური მეთოდის შერჩევა და ერთგვაროვანი ატრიბუტების სუბკრებულების გამიჯვნის, ასევე რამდენიმე სინთეზური აგრეგირებული დიაგნოსტიკური მახასიათებლის შერჩევა,
- შედარებითი ანალიზის ჩატარება გამოკვეთილ სინთეზურ მახასიათებლებზე დაყრდნობით.

სახელმწიფო სტატისტიკის მიერ ანალიტიკური აღწერების შედგენა განაპირობებს გარკვეული წესების დაცვის აუცილებლობას, იმის გათვალისწინებით, რომ მისი დამატებული ღირებულება მდგომარეობს იმაში, რომ ის ხშირად ხდება ქვეყნის და რეგიონის მასშტაბით განვითარების პოლიტიკის სფეროში მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების საფუძველი.

უპირველეს ყოვლისა, საჭიროა მონაცემების აღწერის კატეგორიებში აზროვნება ჩანაცვლდეს იმ მიდგომით, რომ ანალიტიკური ნაშრომის შემუშავებისას ვეყრდნობით წამოჭრილი საკითხებისა და პრობლემატიკის მთავარ შინაარსს. ამიტომ, მუშაობა უნდა დავიწყოთ შემდეგი შეკითხვების დასმით: რატომ უნდა დაინტერესდეს მომხმარებელი მოცემული ინფორმაციით და კონკრეტულად ვინ იქნება მომხმარებლების ჯგუფში? რადგან ამას გავლენა ექნება ინფორმაციის და გადმოცემის ენის შერჩევაზე, ასევე თხრობის სტილსა და ტექსტის გრაფიკულ გაფორმებაზე.

ნაშრომი უმდა მოიცავდეს ყველაზე მნიშვნელოვან და საგულისხმო დასკვნებს გრძელ- და მოკლევადიანი ტენდენციების კონტექსტში.

ტექსტის ავტორს უნდა ახასიათებდეს მიუკერძოებლობა, თუმცა ასევე პროფესიონალიზმი. ნაშრომში ის უნდა აკავშირებდეს სხვადასხვა წყაროებს, მაგრამ, ამავე დროს, უნდა დაიცვას მონაცემებს კონფიდენციალურობის პრინციპი.

დასკვნების ჩამოყალიბებისას უნდა ვეცადოთ თავი ავარიდოთ გადაჭარბებულ ინტერპრეტაციას (არ არის სასურველი ისეთი ჰიპოთეზების დასმა, რომელიც შეიძლება არასწორად იქნას გაგებული და გავრცელებული – ობიექტივიზმის პრინციპი). ასევე, საჭიროა იმ ფაქტებზე მითითება, რომელთა გავლენაც მნიშვნელოვანი აღმოჩნდა და ამის დადასტურება შესაძლებელია (დასკვნების უკან მყარი რიცხობრივი მონაცემები უნდა იყოს).

მიზეზ-შედეგობრივი კავშირების ანალიზი აღიქმება დადებითად, თუ ის ახალი და ემპირიულად დადასტურებულია. საჭიროა სათანადო პროპორციის დაცვა ცალკეული მოვლენებისა და სოციალურ-ეკონომიკური პროცესების გახილვისას (ეხება სეზონური და ერთჯერადი მოვლენების გავლენის ანალიზს).

ძალიან მნიშვნელოვანია კვლევითი პრობლემატიკის ფართო სოციალურ-ეკონომიკურ ჭრილში განხილვა (თუმცა მონაცემების ხელმისაწვდომობა ამის საშუალებას გვაძლევს), რაც იძლევა გარემოსათან მიმდინარე კავშირების ხაზგასმის და ანალიზისთვის ე.წ. დამატებული ღირებულების შექმნის შესაძლებლობას.

შესავალის პირველი აბზაცი მიიჩნევა ტექსტის ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილად, რომელმაც უნდა დააინტერესოს მკითხველი და გააცნოს მას ტექსტის ძირითადი მიზნები. აღნიშნულ აბზაცში მოკლედ და მკაფიოდ უნდა იყოს წარმოდგენილი ტექსტის შეჯამება, ტექსტიდან გამომდინარე ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვანი ფაქტები/დასკვნები. ამავე დროს, უნდა ვეცადოთ, რომ აბზაცი მონაცემების დიდი რაოდენობით ზედმეტად არ გადავტვირთოთ.

მოცემულ კვლევით სფეროში განვითარებული ტენდენციების გამოკვეთის მიზნით, სასურველია ანალიტიკურ ნაწილში ასევე წარმოდგენილი იყოს ისტორიული მონაცემები და მათი ანალიზი.

შესაბამისად, მნიშვნელოვანია რეტროსპექტიულად წარმოდგენილი მონაცემების თანხვედრა წინა პუბლიკაციებში წარმოდგენილ მონაცემებთან (თუ აღნიშნული მონაცემები იცვლება, საჭიროა ამ ფაქტის შესახებ შესაბამისი კომენტარის გაკეთება).

მიუხედავად იმისა, რომ ციფრები და მაჩვენებლები სტატისტიკური ნაშრომის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ, არ უნდა დომინირებდნენ (პირველ აბზაცებში და წინადადებებში მაინც). ზოგადი პრინციპის თანახმად, თავს ვარიდებთ „გრძელი“ რიცხვების წარმოდგენას – გრძელი წილადის მქონე რიცხვების შემთხვევაში საჭიროა მათი დამრგვალება.

პუბლიკაციებში ცვლილებების აღწერისას ფრთხილად უნდა გამოვიყენოთ ისეთი ფორმულირებები, როგორცაა „გაიზარდა“, „შემცირდა“, რადგან ამ ტიპის სიტყვების მოზღვავებით შეიძლება მივიღოთ ე.წ. „შეჯიბრის ენა“ (ინგ.- „elevator statistics“).

6.4. სტატისტიკური მაჩვენებლები რეგიონულ ანალიზებში

კრებითი რეგიონული ანალიტიკური ნაშრომები უნდა შეეხოს შემდეგ სფეროებში განვითარებას:

- დემოგრაფია (პოპულაცია და მისი დინამიკა, ადამიანური რესურსი),
- სოციალური სფერო (სოციალური კაპიტალი, შეკავშირება და გარიყულობა),
- ეკონომიკური სფერო (შრომის ბაზარი, ეკონომიკის პროდუქტიულობა, რესურსები და ეკონომიკური განვითარების დონე),
- კულტურა და ინსტიტუციონალური სფერო.

ინდიკატორების შერჩევისას მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ძირითადი კრიტერიუმები, რომლებიც განაპირობებენ მაღალი ხარისხის და მომხმარებლების საჭიროებებზე მორგებულ პროდუქტის მიღებას. ეს კრიტერიუმებია:

- მონაცემების ხელმისაწვდომობა (სტატისტიკური კვლევების მეთოდი განაპირობებს მონაცემების ხელმისაწვდომობას ტერიტორიული დაყოფის სხვადასხვა დონეებზე),

- კვლევითი შეზღუდვები (მათ შორის, ინფორმაციის სუბიექტური და ობიექტური ფარგლები, სტატისტიკური საიდუმლოება, კორექტირებები და გადახედვები, გავრცელების ვადები),
- პუბლიკაციის დანიშნულება.

პოლონურ სახელმწიფო სტატისტიკაში რეგიონული ანალიზების დანიშნულება განიხილება ორი მიმართულების საჭიროებების კონტექსტში:

- ინფორმაციული ხელშეწყობა – ძირითადი ტენდენციები (ზოგადად საზოგადოებისთვის),
- რეგიონების განვითარების მონიტორინგი (გადაწვეტილების მიმღები პირებისთვის).

რეგიონების განვითარების ძირითადი ტენდენციების შესახებ ინფორმაციულ ხელშეწყობასთან დაკავშირებით, სასურველია თემების და ცვლადების სტანდარტული პაკეტის შემუშავება, რომლებიც ციკლიურად გამოცემულ რეგიონულ კრებით პუბლიკაციებში იქნებიან ასახული – მოკლევადიან (ერთ წელზე ნაკლები სიხშირით გამოცემული ნაშრომებისთვის მოპოვებული) და ყოველწლიურ/მრავალწლიან ციკლებში მოპოვებული ინფორმაციების დიფერენცირებით.

პოლონურ სახელმწიფო სტატისტიკაში ეს სფეროებია:

- მოკლევადიანი: მოსახლეობა და დემოგრაფია, შრომის ბაზარი, შრომის ანაზღაურება, სოციალური სერვისები, სამომხმარებლო ფასები, სოფლის მეურნეობა, მრეწველობა, მშენებლობა, ბინათმშენებლობა, ფინანსური ბაზრები, ფინანსური შედეგები, საინვესტიციო დანახარჯები, ეკონომიკური სუბიექტები, ეკონომიკური კონიუნქტურა, საზოგადოებრივი უსაფრთხოება;
- ყოველწლიური და მრავალწლიანი: გარდა ზემოაღნიშნული სფეროებისა – გეოგრაფია, ბუნების დაცვა, ტერიტორიული თვითმმართველობის ერთეულების ბიუჯეტები, შინამეურნეობების ბიუჯეტები, კომუნალური და საბინაო ინფრასტრუქტურა, სოციალური სერვისები (განათლება და აღზრდა, ჯანდაცვა, კულტურა, სპორტი, ტურიზმი), მეცნიერება და ტექნიკა, ინფორმაციული საზოგადოება, ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა, რეგიონული ანგარიშები.

რეგიონული განვითარების მონიტორინგის სფეროში მომხმარებლების ცვალებადი საჭიროებების გათვალისწინებით, საჭიროა სტატისტიკურ კვლევებში ახალი სივრცითი ერთეულების იდენტიფიცირება, როგორც რეგიონული პოლიტიკის დაგეგმვისა და წარმოების პროცესის ხელშეწყობი ფაქტორი.

პოლონეთის სახელმწიფო სტატისტიკაში სივრცითი კვლევების ამჟამინდელი მიმართულება მოიცავს:

განსაზღვრავს:

- მაღალი/დაბალი და საშუალო დასახლების სიმჭიდროვის არელების განსაზღვრას კლასიფიკაცია DEURBA-ს მიხედვით (ანუ სივრცითი

ერთულების კლასიფიკაცია ურბანიზაციის დონის მიხედვით),

- *მეტროპოლიური არელების განსაზღვრას – ქალაქების მნიშვნელოვანი როლი რეგიონულ პოლიტიკაში (განვითარების ლოკომოტივები) და ქალაქებში ცხოვრების ხარისხის ანალიზისა და მონიტორინგის, ასევე ნეგატიური ტენდენციების დროულად შეცნობისა და აღკვეთის საჭიროება,*
- *სასოფლო ტერიტორიების განსაზღვრა – მრავალმნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს მოხმარების, აგრარული და არააგრარული წარმოების სექტორში, ასევე საზოგადოებრივი სიკეთეების მიწოდებაში,*
- *ტრანსსასაზღვრო არელების განსაზღვრა – მნიშვნელოვანია ევროპული ინტეგრაციის კონტექსტში (თანამშრომლობის გაძლიერება), ევროკავშირის გარე საზღვარი და პერიფერიული რეგიონები როგორც რეგიონული პოლიტიკის დაინტერესების სფეროები,*
- *შიდასაქალაქო არელების განსაზღვრას – ე.წ სპეციალური არელების იდენტიფიცირება დიდი ქალაქებში,*
- *გეომეტრიული ერთეულების განსაზღვრას – გეოინფორმაციული სისტემის გამოყენება რეგიონულ სტატისტიკაში,*
- *დინებების სტატისტიკის განსაზღვრას – ორი სივრცითი ერთეულის ურთიერთკავშირები, ეხება, მათ შორის, სამუშაო ადგილზე მისვლას, ფუნქციონალურ კავშირებს, მიგრაციას.*

6.5. გრაფიკული ელემენტები

ანალიზის შემავსებელ ელემენტს გრაფიკები და ცხრილები უნდა წარმოადგენდეს, ხოლო პრეზენტაციის გრაფიკული მხარის შერჩევით შესაძლებელი უნდა გახდეს მოვლენების მაქსიმალურად ფართოდ ანალიზი დროსა და ტერიტორიულ ჭრილებში.

ცხრილების ამოცანაა ტექსტის გავრცობა და მონაცემების ზედმეტად ხშირად მოყვანის თავიდან არიდება. ასევე, ცხრილებში თავმოყრილმა ინფორმაციამ შეიძლება გამორიცხოს დისკუსია უმნიშვნელო სიდიდეების შესახებ. თუმცა მეორე მხრივ, ტაბულარული კრებული დამოუკიდებელი შინაარსობრივი „ორგანიზმი“ უნდა იყოს ანუ საკუთარი ინფორმაციული ფუნქცია უნდა შეასრულოს მაშინაც კი, როდესაც მას მკითხველი ეცნობა ანალიტიკური კომენტარის გარეშე. მრავლისმომცველი და დიდი ცხრილები დანართის სახით უნდა იყოს წარმოდგენილი.

ტექსტში გრაფიკამ შეიძლება ბევრი წინადადება ჩაანაცვლოს და გასაგები, ლოგიკური და, ამავე დროს, საინტერესო ფორმით აჩვენოს მნიშვნელოვანი სქემები. თუმცა არსებობს იმის საშიშროება, რომ ავტორს შეიძლება გრაფიკის სახით ზედმეტად ბევრი ინფორმაციის გადმოცემის მცდელობა ჰქონდეს, ან მოცემული მონაცემებისთვის არასწორი გრაფიკული პრეზენტაციის ფორმა შეარჩიოს (მაგ. როდესაც მონაცემები, ნაკლები ცვალებადობიდან გამომდინარე, საერთოდ არ მოითხოვენ გრაფიკას). ასევე არ არის რეკომენდირებული ბევრი ვიზუალურად მიმზიდველი, სამგანზომილებიანი გრაფიკების გამოყენება ან

მრავალი ფერების გამოყენება, რადგან ამან შეიძლება ხელი შეუშალოს ინფორმაციის სათანადოდ აღქმას.

რუკები რეგიონული ანალიზების სპეციფიკაა, რომელიც გეოგრაფიული რეგიონების მსგავსებებისა და განსხვავებების ილუსტრირების საშუალებას იძლევა, რითაც გარკვეული ადგილობრივი ან რეგიონული კანონზომიერებების იდენტიფიცირებას უწყობს ხელს. ისევე როგორც ცხრილებზე და გრაფიკებზე მუშაობისას, ასევე რუკების შემუშავებისას მხედველობაში მიიღება მომხმარებელთა ჯგუფი, წარსადგენი მონაცემებისა და ინფორმაციის ხასიათი, ხოლო ბოლოს შეირჩევა რუკის სათანადო სახეობა.

6.6. მონაცემების წყაროები (მეტაინფორმაციები)

საჭიროა გამოქვეყნებისთვის განკუთვნილი მასალების სიღრმისეული ანალიზი – მეთოდოლოგიური სისწორის და შესაბამისობის კუთხით (მათ შორის, ობიექტური და სუბიექტური შესაბამისობა, სტატისტიკური საიდუმლოების დაცვით).

ანალიზი მით უფრო ღირებულია, რაც უფრო ბევრ ინფორმაციის წყაროს ეფუძნება ის. თუ მონაცემები ინტეგრირებულია ადმინისტრაციულ წყაროებიდან მიღებულ მონაცემებთან, ამ შემთხვევაში საჭიროა მივუთითოთ მეთოდები, რომლითაც მოხდა მონაცემების ინტეგრირება.

ანალიზში წარმოდგენილი ცვლადები შესაბამისობაში უნდა იყოს სხვა კვლევებში მითითებულ ცვლადებთან, მეთოდოლოგიური მსგავსებებისა და სხვაობების მითითებით.

ანალიზში, წინა გამოცემასთან მიმართებაში, ცალკე ნაწილი უნდა დაეთმოს მონაცემების ინტერპრეტაციას, ისევე როგორც მეთოდოლოგიურ ცვლილებებსა და კვლევის ორგანიზაციულ მხარეს. გარდა ამისა, საჭიროა აღნიშნული ცვლილებების მონაცემების ხარისხზე და ანალიზის სუბიექტურ და საგნობრივ მხარეზე გავლენის განხილვა.

7. რეგიონული ანალიზების ხელშემწყობი ინფორმატიკული ინსტრუმენტები

უნდა გვახსოვდეს, რომ რეგიონული ანალიზები, როგორც მომხმარებლებზე ორიენტირებულ შეთავაზება, გარდა სტატისტიკური პუბლიკაციებისა, ასევე უნდა მოიცავდეს ინფორმატიკულ ბაზას, რომელშიც შედის ინსტრუმენტები და პროგრამული უზრუნველყოფა და რომელიც სტატისტიკურ ანალიზს უწყობს ხელს (ძირითადად ეს არის მონაცემთა ბაზების სისტემები, რომლებიც მოიცავენ

მონაცემებს ცალკეული თემატური ჯგუფების მიხედვით, რეტროსპექტიულ მონაცემებს და შევსებულ მეტაინფორმაციას).

პოლონურ სახელმწიფო სტატისტიკაში ამჟამად გამოიყენება შემდეგი ბაზები და სისტემები:

- ადგილობრივ მონაცემთა ბანკი – პოლონეთში ყველაზე მრავლისმომცველი და მოწესრიგებული ინფორმაციის ბაზა ტერიტორიული დაყოფის სხვადასხვა დონის (ქვეყნის, სავოევოდოს, პოვიატის, გმინის, სტატისტიკური ერთეულების, ასევე რეგიონის და სუბრეგიონების – NTS კლასიფიკაციის მიხედვით, ფუნქციონალური არეალების, დელიმიტირებული არეალების) ერთეულების სოციალური, ეკონომიკური, დემოგრაფიული და გარემოს მდგომარეობის შესახებ, ასევე მოიცავს ინფორმაციას საყოვლთაო აღწერებიდან. ადგილობრივ მონაცემთა ბანკის რესურსები უფასოდაა ხელმისაწვდომი სტატისტიკის მთავარი სამმართველოს ინტერნეტ პორტალიდან.

http://stat.gov.pl/bdlen/app/strona.html?p_name=indeks

- გეოსტატისტიკური პორტალი – სტატისტიკური მონაცემების სივრცით ჭრილში წარმოდგენის თანამედროვე საშუალება. წარმოადგენს მომხმარებელთა ფართო წრისთვის, მათ შორის სახელმწიფო ადმინისტრაციისთვის, მეწარმეებისთვის, ინდივიდუალური მომხმარებლებისთვის და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუციებისთვის, ინფორმაციის თავმოყრის, პრეზენტაციის და გავრცელების საშუალებას. ეს კომპლექსური სისტემა შეესაბამება ევროპულ სტანდარტებს, ხოლო ყველა მონაცემი, გადამუშავების შემდეგ, წარმოდგენილია დეპერსონალიზირებული ფორმით, სტატისტიკური საიდუმლოების დაცვით.

<http://geo.stat.gov.pl/>

- სისტემა STARTEG-ი – განვითარების პოლიტიკის პროგრამირების და მონიტორინგის საჭიროებებისთვის შექმნილი სისტემა. მასში თავმოყრილია პოლონეთში და ევროკავშირში (სტრატეგია ევროპა 2020) მოქმედი სტრატეგიების მონიტორინგისთვის გამოყენებული ინდიკატორები (ქვეყნის, რეგიონულ და სავოევოდოების დონეზე). გარდა ამისა, სისტემა მოიცავს სტატისტიკურ მონაცემებს, რომლებიც მნიშვნელოვანია შეკავშირების პოლიტიკის განხორციელების კუთხით. რიცხობრივ მონაცემებთან ერთად წარმოდგენილია დეფინიციების განმარტება, ინფორმაცია მეთოდოლოგიის შესახებ, ასევე თემატური ანალიზები და ანგარიშები. ინდიკატორების მრავლისმომცველ ნუსხასთან ერთად, სისტემა მომხმარებელს მოვლენების ანალიზისთვის სთავაზობს ფუნქციონალურ ინსტრუმენტს გრაფიკებისა და რუკების გენერირების სახით.

<http://strateg.stat.gov.pl/>

ასევე მიმდინარეობს მუშაობა სექტორულ მონაცემთა ბაზებზე, რომელიც უზრუნველყოფს მონაცემების ფართო სპექტრის ხელმისაწვდომობას, ინფორმაციის თემატურად დაჯგუფების შესაძლებლობას, მარტივ და ერთიან სტრუქტურას, გარე სისტემებში მარტივად ექსპორტირების შესაძლებლობას.

8. სამუშაო „სამზარეულო“ – მუშაობის დახვეწაზე ორიენტირებული ქმედებები

შედეგობრივი მონაცემების შემუშავებისა და გავრცელების პროცესი, რომელიც მოიცავს რეგიონულ ანალიზებს, აღჭურვილი უნდა იყოს შიდა ინსტრუმენტებით, რომელიც ხელს შეუწყობს ანალიტიკურ-კვლევით საქმიანობას.

პოლონეთის სახელმწიფო სტატისტიკაში ამ ინსტრუმენტებში შედის, მათ შორის:

- რეგიონული ანალიტიკური პუბლიკაციების სისტემითვის დანერგილი პუბლიკაციების და ნაშრომების შაბლონები,
- სტატისტიკური კვლევების ცალკეული შედეგებისთვის პუბლიკაციური ცხრილები, რომელსაც საავტორო ერთული შეიმუშავებს და უზიარებს სხვა დაინტერესებულ სტატისტიკურ სამმართველოებს ან ორგანიზაციულ ქვედანაყოფებს,
- სტატისტიკური ანალიზებით დაკავებული ცალკეული ორგანიზაციული ერთეულების მიერ, საკუთარი მიზნებისთვის შემუშავებული და რეგულარულად განახლებული მონაცემთა ბაზები,
- გარე თანამშრომლობის და გაზიარების ფარგლებში – პარტნიორების ბაზები, მათ შორის მასმედიის (ჟურნალისტების) საკონტაქტო ინფორმაციის ბაზა, რომელსაც აწარმოებს ინფორმაციის დეპარტამენტი და სავოევოდოების რეგიონული კვლევების ცენტრები.

ზემოაღნიშნული საშუალებების დამატებით, რეგულარულად იმართება სტატისტიკის მთავარი სამმართველოს (მათ შორის სექტორული დეპარტამენტების, როგორც კვლევების საავტორო ერთეულების) წარმომადგენლებისა და სავოევოდოების რეგიონული კვლევების ცენტრების წარმომადგენლების შეხვედრები, რომელიც მიზნად ისახავს გამოცდილებისა და სასარგებლო პრაქტიკის გაზიარებას, ცენტრების საქმიანობის მიმართულებების განხილვას, ასევე სახელმწიფო სტატისტიკაში კვლევითი საქმიანობის ახალი მიმართულებებისა და ცვლილებების განხილვას.

9. ინფორმაციის გავრცელება

სავარაუდოდ, გრძელვადიან პერსპექტივაში, სახელმწიფო სტატისტიკის და მომხმარებლების კომუნიკაციის მთავარი მიმართულება გახდება:

- მონაცემების საზოგადო გავრცელება ელექტორული ფორმით – ამ კონტექსტში, გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს მკაფიო და ინტუიციურ ინტერნეტ პორტალს, რომელიც უზრუნველყოფს წარმოდგენილი

შედეგობრივი ინფორმაციის ადვილად ხელმისაწვდომობას, ფუნქციონალურ ინფორმატიკულ ინსტრუმენტებს და მონაცემთა ბაზების სისტემებს;

- ინფორმაციის უშუალო გადაცემა, რაც მომხმარებლებისთვის სტატისტიკის შესახებ ცოდნის, მათ შორის სტატისტიკური განათლების (დიდაქტიკური კონსულტაციები) გაზიარების სხვადასხვა ფორმებს მიიღებს.

მონაცემების გაზიარება წარმოადგენს სტატისტიკური პროცესის ერთ-ერთ ფაზას, რომელიც მოიცავს:

- მომხმარებლებისთვის სტატისტიკური დაკვირვების შედეგების წარდგენას, სტატისტიკური საიდუმლოების წესების დაცვით,
- მომხმარებლებთან კონტაქტს,
- მონაცემების მომხმარებლების საჭიროებების შესახებ მოსაზრებებისა და შენიშვნების შეგროვებას (მათ შორის ხშირად დასმული შეკითხვებისა და პასუხების სექციის მართვას).

გავრცელების ფაზაში მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს მეტამონაცემებიანი ინფორმაციის გაზიარება, რომელიც მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

- დეფინიციური მეტამონაცემები (ძირითადი ცვლადების დეფინიციები);
- მეთოდოლოგიური მეტამონაცემები (კვლევაში გამოყენებული ძირითადი მეთოდების და წყაროების აღწერა, მაგ. რესპონდენტთა ჯგუფის შერჩევის და შედეგების განზოგადების მეთოდები წარმომადგენლობითი კვლევის შემთხვევაში, იმპუტაციის მეთოდი, შეფასების მეთოდი, სეზონური გათანაბრების მეთოდი, მონაცემთა გადახედვის პოლიტიკა, ინდიკატორების გაანგარიშების მეთოდიკა, მონაცემების ჭრილები, გამოყენებული კლასიფიკაციები);
- მეტამონაცემები ხარისხის შესახებ.

მონაცემების გაზიარებისას მხედველობაში უნდა მივიღოთ მათი სახეობა (მაგ. მიკრომონაცემები, აგრეგირებული მონაცემები, პირველადი მონაცემები, საბოლოო მონაცემები, სეზონურ გათანაბრებას არ დაქვემდებარებული მონაცემები, სეზონურად გათანაბრებული მონაცემები) და მათი გაზიარების საშუალება (მაგ. სატელეფონო ინფორმაცია, ინტერნეტი, პრესკონფერენცია).

კვლევების მიზნებისთვის მიკრომონაცემების გაზიარება უნდა მოხდეს სტატისტიკური საიდუმლოების დაცვით, ანონიმიზაციის მეთოდების გამოყენებით.

მომხმარებლებისთვის გაზიარებული სახელმწიფო სტატისტიკის მუშაობის შედეგები შეიძლება ატარებდეს შემდეგ ფორმას:

- ელექტრონული:
 - პუბლიკაციები, ნაშრომები, ინფოგრაფიკები, სხვა საგამომცემლო ფორმები (მათ შორის pdf ფორმატში),

- ტაბულარული კრებულები მომხმარებლის მიერ რედაგირების შესაძლებლობის მქონე ფორმატებში, რაც მონაცემების თავისუფალ გადამუშავებას შეუწყობს ხელს (მათ შორის xls ფორმატში),
 - თემატური რუკები, ხელმისაწვდომი აგრეგირებული მონაცემებიდან (მათ შორის „ატლასები“),
- ქალაქდზე დაბეჭდილი – ძითითადად სინთეზურ ანალიზებზე და მოკლე ნაშრომებზე კონცენტრირება (მაგ. ფოლდერები, ინფოგრაფიკები, ჯიბის ბროშურები), რომელსაც უნდა ახლდეს ნაშრომების ელექტრონული ვერსია, რომელიც მონაცემებისა და მეტამონაცემების გადმოწერისა და შემდგომი გადამუშავების შესაძლებლობას იძლევა.

ინტერნეტ პუბლიკაციების და ქალაქდზე დაბეჭდილი პუბლიკაციების ინტეგრირება მომხმარებლების პერსპექტივით, უნდა ითვალისწინებდეს პუბლიკაციების ხელმისაწვდომობას ქვემოთ მითითებული საშუალებების მეშვეობით:

- ქალაქდზე დაბეჭდილი ყველა პუბლიკაციის ელექტრონული ვერსიის უფასოდ შეთავაზება PDF ფაილებისა და ვრცელი ცხრილებს (მაგ. xls ფორმატში) სახით, რაც ხელს შეუწყობს მათ შემდგომ დამუშავებას,
- მონაცემების ძიების შესაძლებლობა სათაურის, სერიის, გამოცემის თარიღის, საკვანძო სიტყვების და აშ. მიხედვით (საინფორმაციო პორტალის ფუნქციონალური სამიზნო სისტემის როლი),
- მომხმარებლისთვის მოხერხებული მექანიზმების გამოყენება (ანუ შინაარსის ნუსხა, ჰიპერბმულები), ფაილების მოცულობაზე ყურადღების გამახვილებით (გადმოტვირთვის დროის შემცირების მიზნით).

სასარგებლო პრაქტიკას წარმოადგენს პუბლიკაციების და სტატისტიკური ნაშრომების არქივიზება:

- პუბლიკაციური რესურსის დიგიტალიზაცია (არქივალური და მიმდინარე დოკუმენტების) ასევე ბიბლიოთეკების თანმიმდევრულად განახლებული კატალოგების,
- ბიბლიოთეკის ან სამკითხველოს არქივიზება, რომელიც მომხმარებელს შესთავაზებს პუბლიკაციების, ნაშრომების, გაზეთებისა და სხვა სტატისტიკური მასალების სისტემაში მოყვანილ (ინვენტარიზებულ) კრებულს.

მომხმარებლებისთვის სტატისტიკური ინფორმაციის გაზიარება მრავალი არხით უნდა მიმდინარეობდეს და შესაბამისად სტატისტიკური ინფორმაციის მიღების მრავალ შესაძლებლობასა და საშუალებას უნდა ითვალისწინებდეს. ეს არხებია:

- ვებგვერდი – საინფორმაციო პორტალის გადამწყვეტი როლი,
- უშუალო/ პირადი კონტაქტი (ადგილზე) – მნიშვნელოვან როლს ასრულებს კლიენტების მომსახურებაზე პასუხისმგებელი ორგანიზაციული ერთეული,
- პრესკონფერენციები – მასმედიასთან ურთიერთობის კოორდინატორი გადამწყვეტი როლი,

- სატელეფონო ხაზი, ელექტრონული ფოსტა/ წერილობითი პასუხი, ტრადიციული კორესპონდენცია, ფაქსი.

გავრცელებულ მონაცემებთან ყოველთვის მითითებული უნდა იყოს საკონტაქტო პირის სახელი და გვარი.

შედეგობრივი ინფორმაციის გაზიარების პროცესის ხელშემწყობ ელემენტს წარმოადგენს სტატისტიკური ინფორმაციის გაზიარების კალენდარი, რომელიც მოიცავს როგორც შედეგობრივი ინფორმაციის გაზიარებისა და პუბლიკაციების გამოცემის ვადებს (*Release calendar*), ისე ახალი შედეგების პრეზენტაციას, მონაცემების განახლებას, ანალიზებსა და ნაშრომებს, ინფორმაციას მეთოდოლოგიური ცვლილებების შესახებ და სხვა (*News releases*), მათ შორის ინფორმაციას პრესისთვის (*Press releases*).

სტატისტიკური ინსტიტუციებისთვის მნიშვნელოვანი და აქტუალური შედეგობრივი ინფორმაციის გაზიარებისა და გამოქვეყნების კალენდარი უნდა წარმოადგენდეს მომხმარებლებთან კომუნიკაციის ერთ-ერთ ძირითად ინსტრუმენტს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საზოგადოებისთვის ინტერნეტის მეშვეობით ხელმისაწვდომი კალენდარი სინქრონიზებული იქნება ინსტიტუციის ვებგვერდზე განთავსებულ მეტაინფორმაციასთან (მათ შორის, კვლევების შედეგებთან, სიახლეებთან და პრესსრელიზებთან ერთად).

10. თანამშრომლობა მედიასთან, როგორც მომხმარებელთა განსაკუთრებულ ჯგუფთან

სტატისტიკური სამმართველო უნდა თანამშრომლობდეს მასმედიასთან – თანამშრომლობის წამოწყებით, მედიაგზავნილების (პრესკონფერენციები, ბრიფინგები, საინფორმაციო ნოტები, მოკლე ზეპირი და წერილობითი განცხადებები) დაგეგმვითა და მომზადებით, ასევე სახელმწიფო სტატისტიკის შესახებ პრესპუბლიკაციების მონიტორინგისა და ანალიზის მეშვეობით.

პრესასთან კონტაქტის ძირითად ფორმას წარმოადგენს უშუალო კონტაქტები:

- პრესკონფერენციები;

სტატისტიკის მთავარ სამმართველოში გეგმიური პრესკონფერენციები იმართება თვეში ერთხელ სპეციალურად ამ მიზნისთვის მომზადებულ და აღჭურვილ დარბაზში. რეგიონული სამმართველოები პრესკონფერენციებს მართავენ წელიწადში ერთხელ ან ორჯერ, ასევე სხვა ღონისძიებების დროს, მაგ. სამეცნიერო კონფერენციების დროს (საკონფერენციო-სატრენინგო დარბაზებში).

- ტელე და რადიო ინტერვიუები;

სტატისტიკის მთავარი სამმართველო და რეგიონული სამმართველოები აძლევენ ინტერვიუს მედიის მხრიდან შემოსული თხოვნების შესაბამისად.

- ბრიფინგები და შეხვედრები პრესასთან იწვევს მომხმარებლების ინტერესს და ითვლება კომუნიკაციის ეფექტურ ფორმად.

სტატისტიკის მთავარ სამმართველოში ამ მიზნისთვის გამოყოფილია სპეციალური ადგილი „პრესის ოთახი“ (ინგ. “Press room”), შენიობის პირველ სართულზე მთავარ შესასვლევლთან (ხელმისაწვდომობა). რეგიონულ სამმართველოებში ამ ტიპის შეხვედრები ტარდება საკონფერენციო-სატრენინგო დარბაზებში.

გამომდინარე იქიდან, რომ მედია მომხმარებელთა სპეციფიურ ჯგუფს წარმოადგენს, სასურველია ე.წ. ინფორმაციის ლიდერების (მათ შორის მედიასთან კავშირით დაკავებული) შერჩევა, რომლებიც დაკავებულები არიან მასმედიის მომსახურებით, ხოლო მათ ამოცანებში შედის:

- მედიის (ადგილობრივი და ქვეყნის მასშტაბით მაუწყებელი) საშუალებით გავრცელებული ინფორმაციის გადამოწმება და მონიტორინგი,
- საპოპულარიზაციო მასალების მომზადება და გაგზავნა,
- ინფორმირება სტატისტიკის მიერ წარმოებული კვლევების შესახებ,
- ინფორმირება სახელმწიფო სტატისტიკის საქმიანობასთან დაკავშირებული ღონისძიებების შესახებ,
- სამმართველოს სახელით გამოსვლა ან პრესმდივნის დახმარება ამ ამოცანის შესრულებაში,
- პრესკონფერენციების დროს ჟურნალისტებისა და სამმართველოს წარმომადგენლების კონტაქტის მომსახურება,
- გამოქვეყნებულ სტატიებთან დაკავშირებით შესწორებების გაგზავნა, თანახმად პრესის შესახებ კანონისა, და საჭიროების შემთხვევაში მათი განთავსება სამმართველოს ვებგვერდზე.

რეკომენდირებულია მედიის საკონტაქტო ბაზის შექმნა და მისი სისტემატიურად განახლება („თემატური ჟურნალისტების“ გათვალისწინებით), მათთვის თემატური სტატიებისა და წერილების მომზადება და ელექტრონულ ფოსტაზე გაგზავნა.

მნიშვნელოვანი და საზოგადოებრივ აზრზე გავლენის მქონე რედაქციების შემთხვევაში სასურველია სტაბილური უშუალო კონტაქტის დამყარება (სამმართველოს/ინფორმაციის ლიდერსა და რედაქციის მიერ გამოყოფილ ჟურნალისტს შორის), მათთვის ინსტრუქტაჟის, მონაცემების წყაროების მიგნებაში და კვლევების შედეგების ინტერპრეტირებაში დახმარების სახით.

ასევე რეკომენდირებულია პრესისა და მნიშვნელოვანი მოვლენების მონიტორინგი (მათ შორის დღესასწაულების კალენდარის). ამ შემთხვევაში მიზანს წარმოადგენს ჟურნალისტების დაინტერესების საგნის ანუ შედეგობრივი ინფორმაციის წინასწარ გამოცნობა, მოკლე ანოტაციების წინასწარ მომზადება (მაგ. მიმდინარე მოვლენებთან, ასევე მნიშვნელოვან მოვლენებთან დაკავშირებით) და მოკლე და გასაგები ფორმით წარმოდგენა. გარდა ამისა, მედიის მიმდინარე

მონიტორინგი იძლევა შესაძლებლობას დროულად მოვახდინოთ რეაგირება ჟურნალისტების მიერ დაშვებულ შეცდომებზე.

სასარგებლო პრაქტიკას წარმოადგენს მედიის მედიაპარტნიორის სტატუსით მოწვევა სამმართველოს მიერ ორგანიზებულ სამეცნიერო კონფერენციებზე, სემინარებზე და სხვა ღონისძიებებზე.

მედიაგზავნილების მნიშვნელობიდან გამომდინარე, პრესასთან, ასევე ტელე- და რადიომაუწყებლებთან თანამშრომლობით დაკავებული უნდა იყვნენ მედიასთან ურთიერთობის სფეროში უნარ-ჩვევების მქონე პირები. ისინი პროფესიონალიზმს უნდა იჩენდნენ როგორც უშუალო კონტაქტების დროს, ისე მედიისთვის მასალების მომზადების კუთხით.

11. სტატისტიკური განათლება

11.1. მომხმარებლების სტატისტიკური განათლება

მომხმარებლების სტატისტიკური განათლება უნდა მოიცავდეს შემდეგ სფეროებს:

- სახელმწიფო სტატისტიკის სისტემის ფუნქციონირება,
- სახელმწიფო სტატისტიკის შედეგობრივი ინფორმაციის მოძიების, დამუშავების, ინტერპრეტაციისა და გამოყენების უნარები,
- სახელმწიფო სტატისტიკის რესურსების შესახებ ცოდნის გაღრმავება,
- სახელმწიფო სტატისტიკის მიერ წარმოებული კვლევების მნიშვნელობის შესახებ თვითცნობიერების ამაღლება,
- არსებული და მომავალი რესპონდენტების პოზიციის ჩამოყალიბება.

დიდაქტიკური კონსულტაციების მხარეები, ფორმები და ფარგლები უნდა შეესაბამებოდეს გარემოს პირობებსა და საჭიროებებს.

პოლონურ სახელმწიფო სტატისტიკაში საგანმანათლებლო ღონისძიებები მიმართულია: ბავშვებზე, მოზარდებზე, მასწავლებლებზე, აკადემიურ წრეებზე (მათ შორის სტუდენტებზე), ცენტრალურ და მუნიციპალურ ადმინისტრაციაზე, მედიის წამომადგენლებზე.

საგანმანათლებლო ღონისძიებების ფორმებში შედის: საგანმანათლებლო გაკვეთილები, კონკურსები და ოლიმპიადები ბავშვებისთვის და მოზარდებისთვის, პრაქტიკები და სტაჟირება, ტრენინგები, კონფერენციები, სემინარები.

დიდაქტიკური კონსულტაციების თემატური ფარგლები:

- სახელმწიფო სტატისტიკის ფუნქციონირების პრინციპები (კვლევების ორგანიზაცია, გამოყენებული რეესტრები, ნომენკლატურები,

კლასიფიკაციები, საანგარიშგებო სისტემები);

- *სახელმწიფო სტატისტიკის რესურსები;*
- *კვლევების შედეგების პრეზენტაცია გარკვეული თემატური სფეროებიდან;*
- *სახელმწიფო სტატისტიკის მონაცემთა ბაზების სისტემების მომსახურება;*
- *სტატისტიკური ინფორმაციის პრეზენტაციის მეთოდები, განსაკუთრებით გრაფიკული მეთოდები.*

საგანმანათლებლო მოღვაწეობა უნდა ხორციელდებოდეს ორგანიზებული მოდელის მიხედვით, რომელიც მოიცავს დაფინანსების სისტემას, ტრენერების სისტემას, სატრენინგო მასალების შაბლონებს (პრეზენტაციები, პრაქტიკული სავარჯიშოები), გამოცდილებისა და სასარგებლო პრაქტიკების გაზიარების ფორუმს.

პოლონურ სახელმწიფო სტატისტიკაში აღნიშნული ღონისძიებების გატარების საფუძველს წარმოადგენს სტატისტიკური განათლების სისტემის კონცეფცია.

11.2. დასაქმებული კადრის განათლება

გამომდინარე იქიდან, რომ არსებობს მომხმარებლებისთვის პროფესიულად მაღალი დონის სტატისტიკური ინფორმაციის მიწოდების აუცილებლობა, თანამშრომლების პროფესიული კვალიფიკაცია მოიცავს ვიწრო სპეციალობის ცოდნას სახელმწიფო სტატისტიკის სფეროში, ანუ მათ უნდა იცოდნენ:

- სტატისტიკური კვლევების წარმოება (მათ შორის მეთოდოლოგია, მეტამონაცემები, მონაცემების სწორად შერჩევა და ინტერპრეტაცია მომხმარებლების საჭიროებების კონტექსტში, კვლევების განვითარების მიმართულებები სხვა სახელმწიფოებში),
- სახელმწიფო სტატისტიკის ინფორმაციული რესურსები, მათ შორის მონაცემთა ბაზების სისტემები,
- სახელმწიფო სტატისტიკის საინფორმაციო პოლიტიკა,
- მომხმარებლებისთვის შეთავაზებული სტატისტიკური პუბლიკაციები (ელექტრონული და ტრადიციული ბეჭდვითი),
- მომხმარებლებისთვის შეთავაზებული ახალი სისტემები, პროგრამული უზრუნველყოფა და ინფორმატიკულ-ფუნქციონალური ინსტრუმენტები.

პროფესიული განვითარების სფეროში სწავლება იმ თანამშრომლებისა, რომლებთანაც შეხება აქვთ გარე მომხმარებელთან ან დაკავებულები არიან სახელმწიფო სტატისტიკის იმიჯის ჩამოყალიბებით, უნდა მოიცავდეს:

- კლიენტის კვალიფიციურად მომსახურების უნარ-ჩვევებს,
- მედიასთან თანამშრომლობის წესებს,
- ტრენინგებისა და საჯარო გამოსვლების მეთოდებსა და ტექნიკას,
- საერთაშორისო ორგანოების მუშაობაში მონაწილეობას.

12. დასკვნები

სახელმწიფო სტატისტიკის, როგორც ინფორმაციული სტატისტიკური სისტემების შექმნაში საიმედო პარტნიორის და სტატისტიკური კვლევებისა და ანალიზების სფეროში ექსპერტულ-საკონსულტაციო ორგანოს როლის ხაზგასმით, საჭიროა სტატისტიკის ძლიერი მხარეების წინ წამოწევა, რაც გამომდინარეობს მისი სპეციფიკიდან და მოქმედების ხასიათიდან, და მისი განვითარება და მის შესახებ ცოდნის გავრცელება.

პოლონურ სახელმწიფო სტატისტიკაში, მის ძლიერ მხარეებად სახელდება:

- სანდო წყაროებზე დაყრდნობით სტატისტიკური ინფორმაციის შემუშავება და გაზიარება (მონაცემების სრულყოფილება, მაღალი სტანდარტები, საგნობრივი ფარგლები)
- ხელთარსებული ინფორმაციის დიდი რესურსი – საზოგადოდ ხელმისაწვდომი და უფასო;
- დაგეგმილი კვლევებისთვის არსებული სტატისტიკური ანკეტირების და სტატისტიკის მთავარი სამმართველოს და რეგიონული სამმართველოების საანგარიშგებო პორტალების გამოყენება
- წარმოებული კვლევების რეგულარულობის გარანტია (ყოველ წელს, ყოველ თვე, კვარტალურად), ასევე თანამშრომლობა სტატისტიკური კვლევების დაპროექტების ეტაპზე რეგიონებში მომხმარებლების საჭიროებების ოპტიმალურად გათვალისწინების მიზნით
- სივრცითი დაყოფის სტაბილურობა, რაც მოწოდებული სტატისტიკური ინფორმაციის კარგი ხარისხის გარანტიაა;
- გამოყენებული ორგანიზაციული გადაწყვეტები – ამოცანების განაწილება სხვადასხვა ორგანიზაციულ დანაყოფებს შორის ქვეყნისა და რეგიონის დონეზე (სავოევოდოების რეგიონული კვლევების ცენტრები როგორც სპეციალური სტატისტიკური საინფორმაციო ცენტრები რეგიონში);
- გამოცდილებაზე დაფუძნებული და განვითარებული თანამშრომლობა ტერიტორიულ თვითმმართველობის ორგანოებთან (მაგ. თვითმმართველობის სტატისტიკური სახელმძღვანელო როგორც პასუხი ინფორმაციულ საჭიროებებზე)
- ინფორმაციული საჭიროებების წინასწარ გამოცნობაზე ორიენტირებული მეთოდების დახვეწა.

სახელმწიფო სტატისტიკა უფლებამოსილი უნდა იყოს მოიპოვოს სტატისტიკური მონაცემები ყველა არსებული წყაროდან (სტატისტიკური ანგარიშგება, სხვა სახელმწიფო ორგანოების ანგარიშები, ადმინისტრაციული საინფორმაციო სისტემები, ექსპერტიზები, ნაშრომები, საკუთარი შეფასებები). ეს პირობა გამომდინარეობს რესპონდენტების დატვირთვის შემცირებიდან და ოფიციალური სტატისტიკის შექმნაზე გაწეული ხარჯების ეფექტურობიდან. თუმცა უნდა გვახსოვდეს, რომ ადმინისტრაციული წყაროებიდან მონაცემების კრებულების სტატისტიკურ კრებულებად ტრანსფორმირების პროცესი შედარებით ხანგრძლივ და რთულ პროცესს წარმოადგენს.

პოლონეთის სახელმწიფო სტატისტიკის შემთხვევაში, ბოლო წლებში ვაკვირდებით სხვადასხვა ადმინისტრაციული სისტემების განვითარების სწრაფ ტემპს, თუმცა ჯერ კიდევ საჭიროა აღნიშული წყაროების განმკარგავი მხარეების ცნობიერების ამაღლება სახელმწიფო სტატისტიკასთან კოორდინირების როლთან დაკავშირებით, რაც მომავალში უზრუნველყოფს ამ სისტემების ჰარმონიულად ინტეგრირებას სახელმწიფო სტატისტიკის რესურსებთან.

ერთ-ერთი საკვანძო სამართლებრივი ინსტრუმენტი, რომელიც სტატისტიკური კვლევების ძირითადი მიზნის შესრულებას შესაძლებელს ხდის, არის სტატისტიკური საიდუმლოს დაცვა. ოფიციალური სტატისტიკის ხარისხი ეფუძნება ძირითადად მოქალაქეების, მეწარმეებისა და სტატისტიკური პუბლიკაციებისთვის სანდო და სწორი მონაცემების მომწოდებელ სხვა რესპონდენტების ნდობას და მათთან თანამშრომლობას. პირველადი სტატისტიკური საიდუმლოს, ანუ ერთეული მონაცემების უპირობო დაცვა წარმოადგენს აუცილებელ პირობას სახელმწიფო სტატისტიკის სისტემის ფუნქციონირებისთვის. ასევე აუცილებელია ისეთი ალგორითმებისა და პროცედურების შემუშავება, რომლებიც მონაცემების მაქსიმალურად დაბალ დონეზე (არა მხოლოდ სივრცით დონეზე) აგრეგირების საშუალებას მოგვცემს, მეორადი სტატისტიკური საიდუმლოების დარღვევის გარეშე.

სტატისტიკური ინფორმაციის მომხმარებლების კმაყოფილების და
საჭიროებების კვლევის ანკეტა

1. მომხმარებლების რომელ ჯგუფს ეკუთვნით?
გთხოვთ მონიშნოთ ერთი პასუხი

1.1 ცენტრალური სამთავრობო ადმინისტრაცია

1.2 სამთავრობო ადმინისტრაცია საცოევოდოში

1.3 თვითმმართველობის ადმინისტრაცია

1.4 სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება

1.5 სასწავლებლები, სკოლები

1.6 ფონდები, კავშირები

1.7 დამსაქმებელთა ორგანიზაცია

1.8 პროფესიული თვითმმართველობა

1.9 ეკონომიკური თვითმმართველობა

1.10 პროფესიული კავშირები

1.11 საწარმოები

1.12 საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლობა

1.13 ეროვნული ბანკი და სხვა ბანკები, სადაზღვევო ინსტიტუციები, ფინანსური ინსტიტუციები

1.14 მედია

1.15 სტუდენტები, მოსწავლეები

1.16 ინდივიდუალური პირები, სხვა

თვითმმართველობის დონის ადმინისტრაცია:

1.3.a. საცოევოდო

1.3.b. პოვიატი

1.3.c. გმინა

2. რა მიზნისთვის იყენებთ სტატისტიკის მთავარი სამმართველოს მონაცემებს?
შეგიძლიათ მონიშნოთ ერთზე მეტი პასუხი

2.1 გადაწყვეტილების მიღება

2.2 სოციალურ-ეკონომიკური სიტუაციის ანალიზი და შეფასება

2.3 სტარატეგიის დაგეგმვა, შემუშავება და მონიტორინგი; პოლიტიკის შემუშავება

2.4 ევროკავშირის ფონდების ათვისება

2.5 სამეცნიერო, კვლევითი და განვითარებითი საქმიანობა

2.6 ცოდნის გაღრმავება, განათლება

2.7 შემდგომი გავრცელება, მაგ. მედიის საშუალებით

2.8 სხვა, გთხოვთ განმარტოთ.....

3. რამდენჯერ სარგებლობთ სტატისტიკის მთავარი სამმართველოს მონაცემებით?

გთხოვთ მონიშნოთ ერთი პასუხი

3.1 სულ მცირე კვირაში ერთხელ

3.2 სულ მცირე თვეში ერთხელ

3.3 სულ მცირე კვარტალში ერთხელ

3.4 სულ მცირე ექვს თვეში ერთხელ

3.5 უფო იშვიათად

4. საიდან მოიპოვებთ სტატისტიკის მთავარი სამმართველოს მონაცემებს?

შეგიძლიათ მონიშნოთ ერთზე მეტი პასუხი

4.1 პუბლიკაციები: სტატისტიკური წელიწდეულბი, თემატური პუბლიკაციები, მოკლე სტატისტიკური ინფორმატორები (კომუნიკატები და სტატისტიკის მთავარი სამმართველოს თავმჯდომარის განცხადებები, მიმდინარე ინფორმაცია - პირველადი შედეგები, შრომის ბაზრის მონიტორინგი, ეკონომიკური კონიუნქტურა), თვითმმართველობის სტატისტიკური სახელმძღვანელო, ტერიტორიის პორტრეტი;

4.2 მონაცემთა ბაზები განთავსებული ვებგვერდზე www.stat.gov.pl: ადგილობრივ მონაცემთა ბანკი, მონაცემთა ბაზა დემოგრაფია, საგარეო ვაჭრობა

4.3 სტატისტიკური საინფორმაციო ცენტრების მეშვეობით

4.4 მონაცემების შეკვეთა

4.5 სხვა წყაროები, გთხოვთ მიუთითოთ

.....

თუ მონიშნავთ 4.4, მაშინ უნდა შეავსოთ თ ასევე 8 და 9 კითხვები

ინფორმაციული შემადგენლობის კატეგორიაში „ცუდად“ ან „ძალიან ცუდად“ პასუხების შემთხვევაში: გთხოვთ მიუთითოთ, თუ რა სახის სტატისტიკური მონაცემები აკლია ან რომელმა მონაცემმა ვერ დააკმაყოფილა თქვენი მოლოდინი, შემდეგ ფორმატში: მონაცემი, წელი, დაფუძვლების დონე (მაგ. ტერიტორიულ ჭრილში, საქმიანობის სახეების მიხედვით, ასაკის, სქესის მიხედვით) მაგ. ბუნების დაცვაზე გაწეული ხარჯები მთლიანად, წელი, პოვიატი.

შედარებითობის და აქტუალურობის კატეგორიებში „ცუდად“ ან „ძალიან ცუდად“ პასუხების შემთხვევაში: გთხოვთ მიუთითოთ თუ რომელმა მონაცემმა ვერ დააკმაყოფილა თქვენი მოლოდინი, შემდეგ ფორმატში: მონაცემი, წელი, დაჯგუფების დონე (მაგ. ტერიტორიულ ჭრილში, საქმიანობის სახეების მიხედვით, ასაკის, სქესის მიხედვით) მაგ. ბუნების დაცვაზე გაწეული ხარჯები მთლიანად, წელი, პოვიატი.

5. როგორ აფასებთ სტატისტიკის მთავარი სამმართველოს მონაცემებს თქვენთვის საინტერესო სფეროებში?

გთხოვთ შეაფასოთ ქვემოთ მოცემული შკალის და კრიტერიუმების მიხედვით ის სფეროები, რომლებშიც იყენებთ სტატისტიკურ ინფორმაციას:

5 - ძალიან კარგად, 4 - კარგად, 3 - საშუალოდ, 2 - ცუდად, 1 - ძალიან ცუდად, 0 - არ მაქვს მოსაზრება

ინფორმაციული შემადგენლობა (ყველა საჭირო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა)	ინფორმაციული მშენებლობა	აქტუალურობა	შეღებულობა
ინფორმაციის აქტუალურობა (დრო აღწერილ მოვლენასა და მის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას შორის)			
ინფორმაციის შეღებულობა (ტერიტორიულ ჭრილში, კვლევებს შორის, დროში და აშ.)			
5.1 გარემოს მდგომარეობა და დაცვა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
5.2 სახელმწიფოს ორგანიზება, ტერიტორიული თვითმმართველობა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
5.3 თავდაცვა და მართლმსაჯულება	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
5.4 საზოგადოებრივი სექტორი(არასამთავრობო ორგანიზაციები, მოხალისეები, სოციალური კაპიტალი, ადამიანური კაპიტალი)	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
5.5 მოსახლეობა;დემოგრაფიული პროცესები;რელიგია; ეთნიკური ჯგუფები	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
5.6 შრომის ბაზარი; შრომის ანაზღაურება	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
5.7 ოჯახი, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობები, სოციალური დახმარება, სოციალური სერვისები	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
5.8 ბინები და კომუნალური ინფრასტრუქტურა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
5.9 განათლება, ბავშვებზე და მოზარდებზე ზრუნვა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
5.10 კულტურა; ტურიზმი; სპორტი	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
5.11 ჯანმრთელობა და ჯანდაცვა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
5.12 მეცნიერება და ტექნიკა; ინფორმაციული საზოგადოება	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
5.13 მრეწველობა, მშენებლობა, ნავთობპროდუქტებისა და ენერჯეტიკის ბაზარი	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
5.14 სოფლის მეურნეობა, მეტყევეობა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
5.15 ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
5.16 ვაჭრობა, საზოგადოებრივი კვება და სასტუმრო ბიზნესი	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
5.17 საგარეო ვაჭრობა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
5.18 არასაფინანსო საწარმოების შედეგები	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
5.19 ფინანსური ბაზარი (ფული და ბანკები;სავალუტო ბირჟა; საპენსიო და სადაზღვრვო ფონდები)	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
5.20 ფასები	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
5.21 საჯარო ფინანსები	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
5.22 ინვესტიციები; ძირითადი საშუალებები	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
5.23 ეროვნული ანგარიშები	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

6. მონაცემების პრეზენტაციის/გაზიარების რომელი ფორმა დააკმაყოფილებდა თქვენს საჭიროებებს?

შეგიძლიათ მონიშნოთ ერთზე მეტი პასუხი

- 6.1 გამზადებული პროდუქტები (მაგ. პუბლიკაციები, ცხრილები, კრებულები, გრაფიკები, რუკები)
- 6.2 მონაცემთა ბაზების ხელმისაწვდომობა:
 - 6.2.1 ანალიტიკური – სტატისტიკის მთავარი სამმართველოს ბაზებით დამოუკიდებლად სარგებლობა, კრებულების შედგენა, მათ შორის გრაფიკული ფორმით
 - 6.2.2 პუბლიკაციული – მონაცემების გადახედვის და პოპულარულ ფორმატში გადმოტვირთვის საშუალება, სტატისტიკის მთავარი სამმართველოს ბაზებში საკუთარი კრებულების და ნაშრომების შედგენის შესაძლებლობის გარეშე



7. როგორ აფასებთ სტატისტიკის მთავარი სამმართველოს მონაცემების განმარტებით ინფორმაციას?

გთხოვთ შეაფასოთ ყველა განმარტებითი ხასიათის ინფორმაცია

	ძალიან კარგად	კარგად	საშუალოდ	ცუდად	ძალიან ცუდად	არ მაქვს მოსაზრება
7.1 კვლევების ჩატარების მეთოდების და კვლევებისთვის მონაცემთა წყაროების შესახებ	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
7.2 დეფინიციები, ტერმინების განმარტებები, კლასიფიკაციები	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
7.3 მონაცემთა ხარისხის შესახებ	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
7.4 წარმოდგენილი მონაცემების კომენტარები	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

„ცუდად“ ან „ძალიან ცუდად“ პასუხების შემთხვევაში გთხოვთ განმარტოთ პასუხი.

ავსებს, თუ მონიშნა 4.4

8. რამდენად ხშირად უკვეთავთ სტატისტიკის მთავარი სამმართველოს მონაცემებს?
გთხოვთ მონიშნოთ ერთი პასუხი

8.1 სულ მცირე კვირაში ერთხელ

8.2 სულ მცირე თვეში ერთხელ

8.3 სულ მცირე კვარტალში ერთხელ

8.4 სულ მცირე ექვს თვეში ერთხელ

8.5 უფრო იშვიათად

9. როგორ აფასებთ სტატისტიკის მთავარი სამმართველოს მიერ მონაცემების შეკვეთის მომსახურებას?
გთხოვთ შეაფასოთ მომსახურების ყველა ელემენტი

	ძალიან კარგად	კარგად	საშუალოდ	ცუდად	ძალიან ცუდად	არ მაქვს მოსაზრება
9.1 შეკვეთილი მონაცემების მოლოდინის დრო	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
9.2 მიღებული მონაცემების შესაბამისობა საჭიროებასთან	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
9.3 თანამშრომლების პროფესიონალიზმი და თავაზიანობა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
9.4 ფასი - ფასიანი მომსახურების შემთხვევაში	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

„ცუდად“ ან „ძალიან ცუდად“ პასუხების შემთხვევაში გთხოვთ განმარტოთ პასუხი.

10. როგორ აფასებთ ვებგვერდის www.stat.gov.pl შემდეგ ასპექტებს:
გთხოვთ შეაფასოთ ვებგვერდის www.stat.gov.pl ყველა ქვემოთ მითითებული ელემენტი

	ძალიან კარგად	კარგად	საშუალოდ	ცუდად	ძალიან ცუდად	არ მაქვს მოსაზრება
10.1 ვებგვერდზე გადაადგილების სიმარტივე	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
10.2 გრაფიკური მხარე	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
10.3 ინფორმაციის ხელმისაწვდომობა/მოძიება	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
10.4 ინფორმაციის გადმოტვირთვა (მონაცემების ექსპორტი; ფაილის გადმოტვირთვა)	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
10.5 თემატური კატეგორიების რაოდენობა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

„ცუდად“ ან „ძალიან ცუდად“ პასუხების შემთხვევაში გთხოვთ განმარტოთ

10.6 მონაცემების და მაჩვენებლების აღწერა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
10.7 ტერმინთა განმარტება	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
10.8 ინფორმაციის პრეზენტაციის საშუალებები	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

11. თქვენი აზრით, არის თუ არა პოლონეთის სახელმწიფო სტატისტიკის მიერ გავრცელებული ინფორმაცია სანდო?

გთხოვთ მონიშნოთ ერთი პასუხი

11.1 დიახ

11.2 არა

პასუხი „არა“-ს შემთხვევაში გთხოვთ დაასაბუთოთ პასუხი

პასუხი „არა“-ს შემთხვევაში გთხოვთ დაასაბუთოთ პასუხი

12. ზოგადად, როგორ აფასებთ პოლონეთის სახელმწიფო სტატისტიკას?

გთხოვთ მონიშნოთ ერთი პასუხი

ძალიან კარგად	კარგად	საშუალოდ	ცუდად	ძალიან ცუდად	არ მაქვს მოსაზრება
<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

13. გთხოვთ წარმოადგინოთ დამატებითი შენიშვნები, მათ შორის მუშაობის გაუმჯობესების შემოთავაზებები, რომელიც თქვენი ინფორმაციული საჭიროებების უკეთ დაკმაყოფილებას შეუწყობს ხელს:

.....

ტერიტორიული თვითმმართველობის ერთეულების სტატისტიკური ინფორმაციის საჭიროების კვლევის ანკეტა

ტერიტორიული თვითმმართველობის ერთეული:
 გთხოვთ აირჩიოთ ერთ-ერთი პასუხი - ნიშანი „x“-ის მონიშვნით მარცხენა მხარეს მოთავსებულ უჯრაში. მის გვერდზე არსებულ სვეტში ჩაწერეთ ერთეულის დასახელება, ხოლო მარჯვენა უჯრაში დაწერეთ განყოფილების/ზიუროს/დეპარტამენტის დასახელება.

		ზიურო/განყოფილება/სამსახური/დეპარტამენტი:
<input type="checkbox"/>	პოვიატის სამმართველო.....	
<input type="checkbox"/>	ქალაქის/გმინის სამმართველო	
<input type="checkbox"/>	უზნის სამმართველო	

1. სარგებლობთ თუ არა სტატისტიკური მონაცემებით ან ვარშავის სტატისტიკის სამმართველოს საინფორმაციო რესურსით?
 გთხოვთ მონიშნოთ ერთი პასუხი, ნიშანი „x“ ჩაწერეთ მარცხენა უჯრაში.

<input type="checkbox"/>	დიახ (გთხოვთ, გადადით მე-3 კოთხეზე)
<input type="checkbox"/>	არა (გთხოვთ, გადადით მე-2 კოთხეზე)

2. რატომ არ სარგებლობთ სტატისტიკური მონაცემებით ან ვარშავის სტატისტიკის სამმართველოს საინფორმაციო რესურსით?
 გთხოვთ მონიშნოთ ერთი პასუხი, ნიშანი „x“ ჩაწერეთ მარცხენა უჯრაში.

<input type="checkbox"/>	ვარშავის სტატისტიკის სამმართველოს რესურსი არ მოიცავს ჩვენთვის საინტერესო მონაცემებს (გთხოვთ, გადადით მე-11 კოთხეზე)
<input type="checkbox"/>	ვსარგებლობთ სხვა ინსტიტუტების მონაცემებით, რომელიც შედარებით უკეთესად აკმაყოფილებს ჩვენს საჭიროებებს (გთხოვთ, გადადით მე-14 კოთხეზე)
<input type="checkbox"/>	ჩვენთვის საკმარისია პოვიატის/ქალაქის/გმინის/უზნის სამმართველოში თავმოყრილი მონაცემები. (გთხოვთ, გადადით მე-14 კოთხეზე)
<input type="checkbox"/>	არ ვიცნობთ სტატისტიკის სამმართველოს საინფორმაციო რესურსს (გთხოვთ, გადადით მე-14 კოთხეზე)
<input type="checkbox"/>	არ გვაქვს ამის საჭიროება (გთხოვთ, გადადით მე-14 კოთხეზე)

3. რა მიზნისთვის იყენებთ ყველაზე ხშირად სტატისტიკურ მონაცემებს ან ვარშავის სტატისტიკის სამმართველოს საინფორმაციო რესურსს?
 გთხოვთ მონიშნოთ ერთი ან მეტი პასუხი, ნიშანი „x“ ჩაწერეთ მარცხენა უჯრაში.

<input type="checkbox"/>	საკუთარი ნაშრომების შემუშავებისთვის მიმდინარე საქმიანობის ფარგლებში
<input type="checkbox"/>	გადაწყვეტილების მიღების პროცესში
<input type="checkbox"/>	განვითარების სტრატეგიებთან დაკავშირებული გრელვადიანი ანალიზების შემუშავებისთვის
<input type="checkbox"/>	ევროკავშირის ფონდებით სარგებლობისას
<input type="checkbox"/>	ვებგვერდის განახლებისთვის

4. რა სიხშირით სარგებლობთ სტატისტიკური მონაცემებით ან ვარშავის სტატისტიკის სამმართველოს საინფორმაციო რესურსით?
 გთხოვთ მონიშნოთ ერთი პასუხი, ნიშანი „x“ ჩაწერეთ მარცხენა უჯრაში.

<input type="checkbox"/>	სულ მცირე კვირაში ერთხელ
<input type="checkbox"/>	სულ მცირე თვეში ერთხელ
<input type="checkbox"/>	სულ მცირე კვარტალში ერთხელ
<input type="checkbox"/>	სულ მცირე ექვს თვეში ერთხელ
<input type="checkbox"/>	უფრო იშვიათად

5. მონაცემების აგრეგაციის რომელ დონეს იყენებთ ყველაზე ხშირად თქვენს ანალიზებში?		
<i>გთხოვთ მონიშნოთ ერთი ან მეტი პასუხი, ნიშანი „x“ ჩაწერეთ მარცხენა უჯრაში.</i>		
I	ქვეყნის მონაცემები	
II	რეგიონების ¹ დონის მონაცემები	
III	სავოევოდოების დონის მონაცემები	
IV	პოვიატების დონის მონაცემები	
V	გმინების დონის მონაცემები	
VI	დასახლებების დონის მონაცემები	

6. რომელი თემატური ბლოკის მონაცემებს იყენებთ?		
<i>გთხოვთ შეაფასოთ თემატური სფეროებიდან მონაცემების სარგებლობა, მარცხენა უჯრაში ჩაწერეთ შესაბამისი ციფრი 0-დან 3-მდე. 0 – არ ვიყენებთ, 1 – იშვიათად ვიყენებთ, 2 – შედარებით ნაკლებად ვიყენებთ, 3 – ყველაზე ხშირად ვიყენებთ.</i>		
I	ეკოლოგია, გარემოს მდგომარეობა და დაცვა	
II	ტერიტორიული დაყოფა და მოსახლეობა	
III	შრომის ბაზარი და ანაზღაურება	
IV	ჯანდაცვა, სოციალური დამარება, სოციალური სერვისები დაზღვევიდან და სოციალური დახმარებიდან	
V	შინამეურნეობების ბიუჯეტი	
VI	კომუნალური და საბინაო ინფრასტრუქტურა	
VII	განათლება (უმაღლესი სასწავლებლების ჩათვლით) და აღზრდა	
VIII	კულტურა და სპორტი	
IX	ტურიზმი	
X	მეცნიერება და კვლევით-განვითარებითი საქმიანობა	
XI	ფასები და ინფლაცია	
XII	სოფლის მეურნეობა, ნადირობა, მეტყვეობა და თევზჭერა	
XIII	მრეწველობა, მშენებლობა, ასევე ნავთობროდუქტების და ენერგეტიკული ბაზრები	
XIV	ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	
XV	ვაჭრობა და საზოგადოებრივი კვება	
XVI	საწარმოების ფინანსები, ფული და ბანკები	
XVII	საჯარო ფინანსები	
XVIII	ინვესტიციები და ძირითადი საშუალებები	
XIX	ეროვნული ანგარიშები	
XX	სხვა (რომელი?):.....	

7. სტატისტიკური მონაცემების ან ვარშავის სტატისტიკის სამმართველოს საინფორმაციო რესურსების გაზიარების რომელი ფორმებით სარგებლობთ?	
<i>გთხოვთ მონიშნოთ ერთი ან მეტი პასუხი, ნიშანი „x“ ჩაწერეთ მარცხენა უჯრაში.</i>	
	სტატისტიკური წელიწადული (გთხოვთ გადახვიდეთ მე-8 შეკითხვაზე)
	თემატური პუბლიკაციები (გთხოვთ გადახვიდეთ მე-8 შეკითხვაზე)
	მოკლე სტატისტიკური ინფორმაციები – რუკებით და გრაფიკებით შევსებული მოკლე აღწერილობითი ინფორმაცია, რომელიც რეგულარულად ქვეყნდება ვებგვერდზე (გთხოვთ გადახვიდეთ მე-8 შეკითხვაზე)
	თვითმმართველობის სტატისტიკური სახელმძღვანელო – ტერიტორიის პორტრეტი (გთხოვთ გადახვიდეთ მე-8 შეკითხვაზე)
	სტატისტიკი სამმართველოს ვებ გვერდზე - http://www.stat.gov.pl/warsz განთავსებული ინფორმაცია (გთხოვთ გადახვიდეთ მე-9 შეკითხვაზე)
	ადგილობრივ მონაცემთა ბანკი - http://www.stat.gov.pl/bdl (გთხოვთ გადახვიდეთ მე-9 შეკითხვაზე)
	უშუალო კონტაქტი სამმართველოსთან - ტელეფონით, ინდივიდუალური შეკვეთა (გთხოვთ გადახვიდეთ მე-11 შეკითხვაზე)

¹ მოიცავს ორ ან მეტ სავოევოდოს

8. გთხოვთ შეაფასოთ ვარშავის სტატისტიკის სამმართველოს მიერ შემუშავებული პუბლიკაციებს/ნაშრომების გამოყენებადობა.

გთხოვთ შეაფასოთ გამოყენებადობის ხარისხი, ყველა ჩამოთვლილი ნაშრომის გასწვრივ მარცხენა უჯრაში ჩაწერეთ შესაბამისი ციფრი 0-დან 3-მდე.

0 – არა გამოყენებადი, 1 – ზოგჯერ გამოყენებადი, 2 – გამოყენებადი, 3 – ნამდვილად გამოყენებადი.

<input type="checkbox"/>	თვითმმართველობის სტატისტიკური სახელმძღვანელო
<input type="checkbox"/>	სექტორული ანალიზები
<input type="checkbox"/>	სტატისტიკური წელიწდეულები
<input type="checkbox"/>	მაზოვის სავოევოდოს სტატისტიკური ბიულკეტენი
<input type="checkbox"/>	ვარშავის სტატისტიკური მიმოხილვა
<input type="checkbox"/>	მოსახლეობა. ბუნებრივი დინება და მიგრაცია მაზოვის სავოევოდოში
<input type="checkbox"/>	შრომის ბაზარი მაზოვის სავოევოდოში
<input type="checkbox"/>	ეროვნულ ეკონომიკაში სუბიექტების ჯგუფების სტრუქტურული ცვლილებები მაზოვის სავოევოდოში
<input type="checkbox"/>	მაზოვის სავოევოდოს პორტრეტი
<input type="checkbox"/>	ბავშვები მაზოვის სავოევოდოში
<input type="checkbox"/>	სპორტი მაზოვის სავოევოდოში
<input type="checkbox"/>	ვარშავის მეტროპოლური არეალი
<input type="checkbox"/>	მაზოვის სავოევოდოს გმინების და პოვიატების სტატისტიკა
<input type="checkbox"/>	მაზოვის სავოევოდოს 10 წელი
<input type="checkbox"/>	ვარშავის უბნების მიმოხილვა
<input type="checkbox"/>	კომუნიკატი მაზოვის სავოევოდოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ
<input type="checkbox"/>	წლიური ანგარიში მაზოვის სავოევოდოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ

9. გთხოვთ შეაფასოთ ვარშავის სტატისტიკის სამმართველოს ინტერნეტ სერვისი (www.stat.gov.pl/warsz).

გთხოვთ ჩაწეროთ შესაბამისი ციფრი 0-დან 2-მდე.

0 – დაბალი შეფასება, 1 – საშუალო შეფასება, 2 – მაღალი შეფასება.

<input type="checkbox"/>	ფუნქციონალურობა, ფუნქციები
<input type="checkbox"/>	მონაცემების აქტუალურობა
<input type="checkbox"/>	გამოყენებული ფორმულირებების მკაფიოობა
<input type="checkbox"/>	გვერდზე გადაადგილების სიადვილე
<input type="checkbox"/>	ვიზუალური მხარე

10. რა სახის გაუმჯობესებია სასურველი, რათა გაგიადვილოთ სარგებლობა ვარშავის სტატისტიკის სამმართველოს ინტერნეტ სერვისით?

გთხოვთ მონიშნოთ ერთი ან მეტი პასუხი, ნიშანი „x“ ჩაწერეთ მარცხენა უჯრაში.

<input type="checkbox"/>	მონაცემების და მაჩვენებლების ადვილი ხიემისაწვდომობა ყველა ადგილიდან
<input type="checkbox"/>	ტერმინთა განმარტება (ხელმისაწვდომი ყველა ადგილიდან)
<input type="checkbox"/>	განზოგადება და თემატური კატეგორიების შემცირება
<input type="checkbox"/>	სასურველი საინფორმაციო მასალების გამოწერის საშუალება ე.წ.„Newsletter“-ის მეშვეობით
<input type="checkbox"/>	მონაცემების/ინფორმაციის საძიებო ფუნქცია
<input type="checkbox"/>	მეტ ენებზე წარმოდგენილი ვერსიები
<input type="checkbox"/>	ინტერნეტ სერვისის არსებული ვერსია აკმაყოფილებს ჩვენს მოთხოვნებს
<input type="checkbox"/>	სხვა (რომელი?):.....

11. რა სახის მონაცემები გაკლიათ ხოლმე ყველაზე ხშირად?			
თემატური ბლოკი <i>გთხოვთ ჩაწეროთ შესაბამისი რომელი ციფრი მე-6 კითვაში წარმოდგენილი ჩამონათვალის მიხედვით</i>	კონკრეტული სტატისტიკური ინფორმაცია	აგრეგირების დონე <i>გთხოვთ ჩაწეროთ შესაბამისი რომელი ციფრი მე-5 კითვაში წარმოდგენილი ჩამონათვალის მიხედვით</i>	დროის პერიოდი <i>გთხოვთ ჩაწეროთ შესაბამისი ციფრი: I - წელი II - ნახევარი წელი III - კვარტალი IV - თვე</i>

12. რა სახის მონაცემების დამუშავება გაკიათ ყველაზე მეტად?	
<i>გთხოვთ აირჩიოთ ერთი ან მეტი პასუხი. ერთი პასუხის შემთხვევაში, მარცხენა უჯრაში ჩაწერეთ ნიშანი „x“, ხოლო მეტი პასუხების შემთხვევაში, შეაფასეთ დეფიციტის დონე უჯრებში შესაბამისი ციფრის ჩაწერით. 0 – ყველაზე ნაკლებად, 1 – იშვიათად, 2 – ნაკლები დინით, 3 – ყველაზე მეტად.</i>	
<input type="checkbox"/>	თემატური პუბლიკაციები (გთხოვთ გადახვიდეთ მე-13 შეკითხვაზე)
<input type="checkbox"/>	ეკონომიკური მოვლენების ციკლიური მონიტორინგის შედეგები (გთხოვთ გადახვიდეთ მე-14 შეკითხვაზე)
<input type="checkbox"/>	რეიტინგები (გთხოვთ გადახვიდეთ მე-14 შეკითხვაზე)
<input type="checkbox"/>	სიღრმისეული თემატური ანალიზები ტერიტორიული დაყოფის დაბალი დონეებისთვის (გთხოვთ გადახვიდეთ მე-13 შეკითხვაზე)
<input type="checkbox"/>	მოვლენების გრძელვადიანი პროგნოზები (გთხოვთ გადახვიდეთ მე-14 შეკითხვაზე)

13. გთხოვთ ჩამოთვალთ თემები, რომლებშიც გაკლიათ სტატისტიკური ნაშრომები.	
1.
2.
3.

14. ხართ თუ არა დაინტერესებული ერთობლივი კვლევების ჩატარებით?	
<i>გთხოვთ მონიშნოთ ერთი პასუხი, ნიშანი „x“ ჩაწერეთ მარცხენა უჯრაში.</i>	
<input type="checkbox"/>	tak (გთხოვთ გადახვიდეთ მე-15 შეკითხვაზე)
<input type="checkbox"/>	nie (გთხოვთ გადახვიდეთ მე-16 შეკითხვაზე)

15. გთხოვთ ჩამოთვალთ ერთობლივი კვლევების ის თემები, რომლებიც ყველაზე მეტად გაინტერესებ.	
1.
2.
3.

16. ხართ თუ არა დაინტერესებული მულტიმედიური პრეზენტაციით, რომელიც შეეხება სახელმწიფო სტატისტიკის სისტემას, მათ შორის მონაცემების მოძიებას?	
<i>გთხოვთ მონიშნოთ ერთი პასუხი, ნიშანი „x“ ჩაწერეთ მარცხენა უჯრაში.</i>	
<input type="checkbox"/>	დიახ
<input type="checkbox"/>	არა

17. გაქვთ თუ არა სურვილი მიიღოთ/გააგრძელოთ მიღება ელექტრონული ფოსტის მეშვეობით აქტუალური ინფორმაცია პუბლიკაციებისა და მოკლე სტატისტიკური მიმოხილვების შესახებ?

გთხოვთ მონიშნოთ ერთი პასუხი, ნიშანი „x“ ჩაწერეთ მარცხენა უჯრაში.

<input type="checkbox"/>	დიახ
<input type="checkbox"/>	არა

18. თუ მე-17 კითხვაში უპასუხეთ „დიახ“, გთხოვთ მოუთითოთ ელექტრონული ფოსტის მისამართი ზემოხსენებული ინფორმაციის მისაღებად:

.....
.....

შეავსო:

სახელი და გვარი:.....

ტელ.:.....ფაქსი:.....

ელ-ფოსტა:.....

